645/
1973/2

# საბჭოთა ქალი

თებერვალი
№ 2 1973 წ.





ფოტო დ. სახაროვისა

**კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი.**
**დაბადების 100 წლისთავი**

„საქართველოს ქალი" —
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический
и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12.134

# ხალხის კეთილდღეობისა, სახელისა და დიდებისათვის

საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის 52 წელი მიითვალა. ეს იყო ბრძოლისა და შრომის ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა. ხუთწლედების სართულებით მიიწევდა იგი სულ მაღლა, მაღლა და აი, ჩვენი სამშობლო იქცა მაღალი კულტურისა და დიდად განვითარებული სახალხო მეურნეობის რესპუბლიკად.

ზღაპრულად გაშალა მხრები დედა-თბილისმა.

დაიბადა ახალი ქალაქები.

კეთილმოეწყო და დამშვენდა სოფლები.

გაჩნდა მრეწველობის ახალი კერები.

აიგო მეცნიერების ტაძრები.

ბაღნარებად იქცა დაჭაობებული დაბლობები და გახრიოკებული მიდამოები,

დამკვიდრდა მაღალი კულტურა. წარმოებასა და ყოფაში, სოფლად და ქალაქად.

შრომა იქცა სახელისა და ღირსების საქმედ.

შრომამ წარმოშვა ათასობით გმირი, ოსტატი, ხელოვანი, მეცნიერი, მათი სახელები რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა, ბევრმა კი მსოფლიო აღიარებაც მოიპოვა.

და წინ ისევ დიდი გზაა, გზა ხალხის ოცნების სრულყოფამდე, კაცობრიობის უკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესი ნაწილის ცხოვრების ისტორია ხომ სხვა არა არის რა, თუ არა სწრაფვა სრულყოფისაკენ, ბრძოლა და შრომა ადამიანთა ბედნიერებისათვის!

ამ ბრძოლასა და შრომას ყოველთვის დიდი სურვილი, რწმენა და იმედი უძღოდა წინ.

დღეს საბჭოთა საქართველოს თებერვალს, მის ორმოცდამეცამეტე წლის დასაწყისს ახალი მიზანდასახულობით, სულიერი აღმავლობით, რწმენითა და იმედებით ვეგებებით.

„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო"...

და, აი, უკვე იგრძნობა მოახლოვებული გაზაფხულის სუნთქვა.

იშმუშნება, იღვიძებს მიძინებული ბუნება. ახალი სიცოცხლის მისაღებად, აღმოსაცენებლად და ასაყვავებლად ემზადება დედამიწა.

1978 წლის გაზაფხული!

სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის IX ხუთწლედის მესამე გაზაფხული!

მაღალი მიზანი — XXIV პარტყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია.

უმაღლესი მიზანი — სწრაფვა კომუნიზმის დიად იდეათა განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, სსრკ პროფსაბჭოს და ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების საფუძველზე, მეცხოველეობის, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და გადიდებისათვის გაშლილმა საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში.

IX ხუთწლედის მესამე წლის დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის იღწვის მეცხოველეთა, მეფრინველეთა, მეჩაიეთა, მევენახეთა, მეციტრუსეთა, მეთამბაქოეთა, მეაბრეშუმეთა და მემინდვრეთა მთელი არმია.

სახალხო მეურნეობის ყველა სახის პროდუქციის სიუხვისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაა გაჩაღებული საკოლმეურნეო ველებსა და ფერმებში, საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში.

ამ ამოცანების შესრულებისათვის სახალხო მეურნეობის მუშაკთა მხარდამხარ იღწვიან ტექნიკური ინტელიგენცია და ჩვენი სახელოვანი მეცნიერები.

დიდ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული მეურნეობა მეურნეობას შეჯიბრებია, რაიონი—რაიონს:

წეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა — საგარეჯოსას, ციხისჯვარის სანაშენე და მერძევეობის მეურნეობა — გაგრისას. ფასანაურის მეცხოველეობის მეურნეობა — გუდამაყრისას და სხვა და სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ასევე, დოვლათისა, სახელისა და დიდებისათვის მეგობრულ შეჯიბრებაშია ჩაბმული მძიმე და მსუბუქი მრეწველობის, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების ყველა უბანი.

ყველაფერი ადამიანის ბედნიერებისათვის! — ამ დევიზით შრომობენ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

და რაც უფრო ვიზრდებით, და რაც უფრო ვმაღლდებით, მით უფრო ვერ შევურიგდებით ვერავითარ მანკიერებას, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო, შეუფერებელ გამოვლინებებს. ამიტომაა, რომ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნისა და გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნე გლეხობის, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნების კოლექტივთა თაოსნობა იქცა ერთ დიდ საერთო სახალხო მოძრაობად.

ამ მოძრაობას მხარი დაუჭირა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმმა, ამ საკითხებს მიეძღვნა პარტიულ ორგანიზაციათა აქტივები, სასოფლო ყრილობები, მუშა-მოსამსახურეთა კრებები...

ესაა ბრძოლა ადამიანთა მორალური სიწმინდისათვის, მაღალი ეთიკისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, სახელმწიფო, პარტიული და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის.

და ამ დიდ სახალხო საქმეში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება ჩვენს ქალებს — სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურის მუშაკებს, საზოგადო მოღვაწეებს, ქალებს — დედებსა და მეუღლეებს.

შევიტანოთ ჩვენი წვლილი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღორძინებაში!

კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, ვიბრძოლოთ დოვლათისა და სიუხვისათვის! — გვავალებს სახალხო მეურნეობის განვითარების IX ხუთწლედის 1978 წლის გეგმა.

ვიბრძოლოთ ყოველი ოჯახის, საწარმოს, მეურნეობის, სოფლის, ქალაქისა და ერთობლივ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის! დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ყველაფერ მახინჯსა და დრომოჭმულს, ყველა უღირსსა და შემარცხვენელს: ლოთსა და უსაქმურს, ქურდსა და სპეკულანტს, მექრთამესა და კომბინატორს, ვიბრძოლოთ ჩვენი ტრადიციულად მაღალი კულტურის, რაინდული ბუნების, კაცთმოყვარე, კეთილშობილი, მშრომელი და ნიჭიერი ხალხის სახელისა და ღირსებისათვის. — ამაში ვხედავთ ჩვენ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს. ხოლო ჩვენს უპირველეს დანიშნულებად მიგვაჩნია წესიერი, შრომისმოყვარე შვილების აღზრდა. ეს არამარტო ჩვენი დედობრივი მოვალეობაა, არამედ — უმაღლესი სასიცოცხლო დანიშნულებაც. ყველაფერი ეს კი არის ჩვენი ერის სახელის, ღირსებისა და კეთილდღეობის საქმე.

# საქართველოს სახელობისა...

ზუგდიდ-სოხუმის გზაზე, ზუგდიდიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით, გამვლელის თვალს იტაცებს თეთრი გედივით წამომართული შენობა. ეს კოლმეურნეობის კანტორაა. ამ სასახლეს მხარს უმშვენებენ ბაღვენახებში ჩაფლული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გულს ახარებს ჩაის, ტუნგოსა და დაფნის პლანტაციები. დადიხართ დოვლათით სავსე სოფელში და უნებლიეთ აგედევნებათ ფიქრი წარსულზე, თვალწინ გადაგეშლებათ პატარა სოფელი ნიკოსია. აქ იდგა ისლით გადახურული ქოხები. პერანგჩამოფლეთილი გლეხი დილიდან საღამომდე ჩიჩქნიდა ჭაობიან მიწას და ცალ უღელ ხარს შესთხოვდა ღმერთს, მაგრამ არც ღმერთი იყო მისი შემწე და არც კაცი. გაძვალტყავებულ გლეხს სულს ართმევდნენ გადასახადებით, ხშირად სასიკვდილოდ გაუროზგავთ იგი ურჩობისათვის. ურჩი გადამხდელი არაერთხელ გამოუკეტავთ რუხის ციხეში. ვინ მოთვლის, რამდენი უსამართლობის მოწმეა მთაკორტოხზე წამოდგმული რუხის ციხის ჩაშავებული კედლები! რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ პირქუშმა შენობამ, რამდენი სისხლი დაიღვარა უთანასწორო ბრძოლაში. ფიქრობ და გიხარია, რომ ეს ყოველივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულში იყო. გიხარია, რომ მოვიდა 1921 წელი. ისტორიას ჩაბარდა ძველი ნიკოსია და ძირფესვიანად შეიცვალა ადამიანების ცხოვრება.

თუმც სუსხიანი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი წლები, მაგრამ მძიმე უღლისაგან განთავისუფლებულ გლეხს შრომის ხალისი მოეძალა, ამ შრომაში გავიდა დრო. დაქუცმაცებული სოფლები — რუხი, ნიკოსია და ნაწულუკუ გაერთიანდნენ და საფუძველი ჩაეყარა სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“.

ამ კოლმეურნეობას სათავეში შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ როგავა ჩაუდგა, მერე იგი გამოცდილმა ვაუკაცმა, სოციალისტური შრომის გმირმა ალიოშა კუტალიამ შესცვალა. 2.680 ჰექტარზე გაიშალა სოფელი რუხი. 359 ჰექტარი სახნავად გამოჰყვეს, 385 ჰექტარზე ჩაი დათესეს, 30 ჰექტარზე ვაზი ჩაყარეს, 13 ჰექტარზე დაფნა დარგეს, 17 ჰექტარზე ტუნგო და 26 ჰექტარზე ხეხილი გააშენეს.

1948 წელს ემილ ბულისკირიამ, ადელინა ფარცვანიამ, ლენა ღურწკაიამ და შურა ბახტაძემ 8-8 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და ჩააბარეს სახელმწიფოს.



რუხის ციხე

სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრა ბახტაძე პლანტაციაში



1949 წელს ამ ოთხ სასახელო ქალს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ. ისინი დღესაც ტრიალებენ ჩაის პლანტაციებში. მარტო შურა ბახტაძეს 1938 წლიდან დღემდე 270 ტონა მწვანე ოქრო აქვს მოკრეფილი.

გასულ წლებთან შედარებით 1955 წელს კოლმეურნეობას ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონდა. ამ წელს კოლმეურნეობამ 1.785 ათასი მანეთის პროდუქცია აწარმოვა და ერთ შრომადღეზე 8 მან და 50 კაპ გასცა. საერთო ფულადმა შემოსავალმა 1.814 ათასი მანეთი შეადგინა.

ახლა სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ შემოსავალი 2.700 ათასი მანეთია და კაცდღეზე 7 მანეთი ნაწილდება. როცა მინდვრის სამუშაოები იწყება, მოხუცსაც ვერ გააჩერებ შინ. გამრჯე ადამიანები ტრიალებენ მინდვრებში, იბრძვიან ახალი წარმატებებისათვის.



კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლი

ფოტო დ. ჩაქუაშვილისა

კოლმეურნეობაში 80 ბრიგადაა. თითოეულ უბანში კი 6-6 ბრიგადაა გაერთიანებული. უბანს გამოცდილი სპეციალისტები, აგრონომები ხელმძღვანელობენ. უბნებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება.

პირველ უბანს აგრონომი ჯუმბერ თოდუა ხელმძღვანელობს. ამ უბანში ერთი ბრიგადა მექანიზებულია. მექანიზაციის ბრიგადის ბრიგადირი შალვა ფუტკარაძეა. ამ უბანმა შარშან გეგმით გათვალისწინებული 495 ტონა ჩაის ნაცვლად 620 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს.

ყველა უბანში თითო მექანიზებული ბრიგადაა, მაგრამ იქ, სადაც ჩაის საკრეფი მანქანა ვერ მიუდგება, პლანტაციაში რუხელი ქალების დაუღალავი მარჯვენა ტრიალებს. მარჯვენას უქებენ: ნანული თოდუას, ნათელა შენგელიას, ლეილა ბულიას და შინო ფარც-



მოწინავე მწველავი ნორა შენგელია

ვანიას. ეს ახალგაზრდები ყოველწლიურად 4-5 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფენ და გეგმას მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ.

შემართულმა შრომამ დააგროვა დოვლათი და ააყვავა სოფელი; აშენდა კოლმეურნეობის კანტორა, კანტორის ეზოში ღაღანებენ კედრები, ცისფერი მუხები, უხვად მოყვავილე აზალიები, კამელიები, კანტორის შენობაში მოთავსებულია სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი, სასოფლო საბჭო, აფთიაქი, აქვეა აგროქიმიური ლაბორატორია.

ლაბორატორიის გამგე მერი შონია დილიდან საღამომდე ფართობშია. იგი მიდის თითოეულ კოლმეურნეზე გაპიროვნებულ ნაკვეთში, იღებს სინჯს, ამოწმებს ნიადაგში მინერალური მარილების პროცენტულ შემადგენლობას და განსაზღვრავს ნიადაგის გასანოყიერებლად საჭირო ფოსფორისა და კალიუმის რაოდენობას.

სოფელში თერთმეტი კულტმაღაზია და სამეურნეო მაღაზიაა. სულ ახლახან აშენდა ორსართულიანი უნივერმაღი.

რუხელებს აქვთ კეთილმოწყობილი საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, სამი მოძრავი ბიბლიოთეკა, აშენდა ბაგა-ბაღი 120 ბავშვისათვის. სეზონისა და დასახლების მიხედვით კი რუხის კოლმეურნეობის თითოეულ უბანში 3-4 ბაგა-ბაღი მუშაობს. ბაგა-ბაღებს უფასოდ ეძლევათ რძე.

კოლმეურნეობას 50 სული მსხვილფეხა საქონელი ჰყავს. მათ შორის ველის წითელი, შვიცისა და სიმენტალის ჯიშის 150 ფურია. 1972 წელს ფერმამ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების გეგმა გადაჭარბებათ შეასრულა. ფერმის მთავარი ზოოტექნიკოსი აბესალომ შავლაყაძე იბრძვის ჯიშების გაუმჯობესებისათვის. გეგმის მაღალი პროცენტული შესრულებით თავი ისახელეს მწველავებმა ლოლა ზურაბიანმა და იზო გელენიძემ.

თავდადებულად შრომობენ და დიდებულადაც ცხოვრობენ რუხელები. ისინი უფასოდ სარგებლობენ აბანოთი. კარგახანია გაუქმდა გადასახადი ელექტრომომსახურებისათვის, თითქმის დამთავრდა სასოფლო გზების მოასფალტება, 100-ზე მეტ კოლმეურნეს მსუბუქი მანქანა ჰყავს, კოლმეურნეობას ჰყავს შესანიშნავი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. შრომის უუნარო კოლმეურნეებს ეძლევათ ერთდროული ფულადი დახმარება და ენიშნებათ პენსიები.

რუხის კოლმეურნეები ვალმოხდილი შეეგებნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს — სახელმწიფოს ჩააბარეს 2.580 ტონა ჩაის ფოთოლი, 40 ტონა ყურძენი, 18 ტონა ბოსტნეული, 88 ტონა ხორცი.

ამ რვაასორმოცდაათკომლიან სოფელში მაღალ დონეზე დგას შრომის დისციპლინა. სოფელში ვერ ნახავთ ვერც ერთ უსაქმო ადამიანს.

მომავლისათვის, უკეთესი ხვალინდელი დღისათვის ერთი წუთითაც არ ნელდება შრომითი ენთუზიაზმი...

ოლია დადიანი



კოლმეურნეობის აგროქიმიური ლაბორატორიის გამგე მ ე რ ი შ ო ნ ი ა და აგრონომი ლ ო ნ დ ა ფ ა ნ თ ი ა ამოწმებენ ნიადაგის ნიმუშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყვიავი და ტყვიაველები

## სოფლის ყრილობაზე

მზიანი შემოდგომა იდგა ტყვიავში. გვიანი შემოდგომა ალარ ზოგავდა პალიტრაზე დარჩენილ ფერებს და მზის მეჩხერ სხივებში ლამბავდა. მზე შემოსულიყო თითოეული ტყვიაველის სულში. ამ დღეს შეკრება იყო, დიდი შეკრება. თითოეულ ტყვიაველს პირზე ეკერა ქობულეთის რაიონი, სოფელი ხუცუბანი. დროა! ჰაი, ჰაი, რომ დროა, მიწამ აღარ ზიდოს ხორცმეტები, სპეკულანტები და უქნარები! ორატორს ორატორი ცვლიდა. საუბარი გულახდილი იყო, ისეთი, ქართლში რომ იციან — პირდაპირი, უშუალო, გულიდან ამოსული.

ტრიბუნაზე ქალი აღიმართა, თვალი მოავლო სოფლის ყრილობას. თანასოფლელები სიყვარულით და მოუთმენლად შესცქეროდნენ მაყვალა გიგუაშვილს. იგი დინჯად და მკაცრად ლაპარაკობდა. დედის ხმას მაინც სხვა ფოლადი აქვს, სხვა რწმენა და სითბო. მხოლოდ დედებს შეუძლიათ ასე ლაპარაკი.



მ. გიგუაშვილი

## ეს მე ვარ — დედა!

ტყვიავში დავიბადე, ტყვიავში გავიზარდე. მიყვარს ჩემი ლამაზი სოფელი, მიყვარს „გიგუაანთ“ უბანი. 1941 წლიდან ვმუშაობ კოლმეურნეობაში. წლების მანძილზე სათავეში ვედექი სოფლის კოლმეურნეობის ახალგაზრდობას. ახლა № 4 ბრიგადის რგოლს ვხელმძღვანელობ. 1945 წლიდან კომუნისტი ვარ. ორ ვაჟკაცს ვუზრდი საქართველოს — იურისა და გიორგის. მეუღლეც კოლმეურნეა. ჩვენი ოჯახის დედაბოძი შრომაა. იქნებ, იფიქროთ, ქალებს ნაკლებად შეგვიძლია შრომა. 1971 წელს 206 კაცდღე გამოვიმუშავე, ხოლო გასული წლის ათ თვეში — 145. რამდენი კაცი ჩაღუნავს თავს ამ ციფრების გაგონებაზე!.. შრომაა-მეთქი დედაბოძი! შვილებსაც ამას ვეუბნები. ჩემმა პატარა გიორგიმ 1971 წელს 89 კაცდღე გამოიმუშავა არდადეგებზე, ხოლო შარშან — 41. იგი ჯერ მხოლოდ თორმეტიოდე წლისაა. შემოსავალი? მარტო 1971 წელს მივიღე 758 კილოგრამი სიმინდი, 1.667 კილოგრამი ხორბალი და 1.089 მანეთი. განა ეს ცოტაა? საკუთარი ხილის ბაღიც ხომ მაქვს. იქ მოწეული ხილიც სახელმწიფოს ჩავაბარე... აბა, როდის იყო ქართველ კაცს წანწალი უყვარდა ბაზრიდან ბაზარზე! იმასაც გამოგიტყდებით, 1971 წელს ჩვენს კოლმეურნეობას ერთი კილოგრამი ვაშლი 15-20 კაპიკი დაუჯდა. გლეხს უფრო ცოტა უჯდება. განა სირცხვილი არ არის მისი გაყიდვა სპეკულანტურ ფასებში... ამან ხომ მშრომელი კაცი არ გააკეთებს! არა და არა!

ტყვიაველებო, მე თქვენი საბჭოს დეპუტატიცა ვარ; სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ უქნარებს. ხმა სოფლისა დიდი ძალაა. ქალებიც როდი ვართ უძალონი: ჩვენს ბრიგადაში სულ 80 კაცია და აქედან 40 ჩვენა ვართ. ეს მარტო თქვენი თანასოფლელის ხმა როდია, დედის ხმაც არის. მაშ, დედებო, მხარი მხარს მივცეთ!

## ტრიბუნის გარეშე

ტრიბუნა ერთია. სათქმელი — ათასი. დროშასავით აიტაცეს მაყვალას ნათქვამი ყრილობის მონაწილეებმა, აიტაცეს და ირწმუნეს.

ნელა-ნელა იშლებოდა ხალხი. იშლებოდა და ვერც იშლებოდა. კიდევ უნდოდათ ეთქვათ რაღაც. ერთგან თავი მოეყარათ ელისაბედ ასკილაშვილს, ოლია ძამელაშვილს, როზა რაზმაძეს, კეკე ოდიაშვილს და ეკატერინე ლაფაჩს. ლაფაჩს კი არა... ეკატერინე ურდას. დიახ, არის ასეთი გვარის ქალი ტყვიავში.

— კაი ხალხი ყოფილა ეს ხუცუბნელები! — მერამდენედ იმეორებდა ელისაბედი. ეკატერინე ურდა კი დუმდა, კატო ურდა-ლაფაჩი ფიქრობდა, რა პასუხი გაეცა ნათქვამზე. სათქმელი კი აქვს უკრაინელ ქალს.

იგი 1946 წელს ჩამოვიდა ტყვიავში. ომმა იცის ასეთი შეხვედრები, ანდრო ლაფაჩი



ძერჟინსკში შეხვდა კატოს და ბუდე მარანაში დაიდეს: მარანა ტყვიავზე მიდგმული სოფელია. ბუდე ბარტყების ჟღურტულმა აავსო. პატარა ანდრომ, ნატალიამ და დარომ ჭერს ხალისი მისცეს, ხოლო მშობლებს მიზანი — ეშრომათ გააორკეცებით დრომ გამოაჩინა უკრაინელი ქალის სიკეთე. იგი განუწყვეტლივ მუშაობს კოლმეურნეობაში, ყველა კულტურას სანიმუშოდ ამუშავებს. მარტო შაქრის ჭარხალი, ჰექტარზე გადაანგარიშებით 420 ცენტნერი უნდა მიეღო, მაგრამ 852 ცენტნერი მიიღო! ალარაფერს ვამბობთ ხახვზე, სიმინდსა და ბოსტნეულზე. შვილებიც სასახელო დაზარდა. ანდრო თბილისში სწავლობს, მემანქანის პროფესიას ეუფლება. დარო უნივერსიტეტში მოეწყო, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ხოლო ნატალია დაუსწრებლად სწავლობს გორის პედინსტიტუტში. იგი შარშან მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად, რაიონული საბჭოს დეპუტატი და ალმასკოშის წევრია, თანაც ოცდაერთი წლისაა.

დიახ, იმ ხელებმა, ომის დროს რომ სახარატო ჩარხთან ამწე მანქანების ნაწილებს ჩარხავდნენ, ასეთი შვილების აკვანიც დაარწიეს.

კატო ფრთხილად ჩაერია საუბარში.

— ჰო, ქალებო, მართალია მაყვალა, სოფელი ვეღარ მოითმენს უსაქმურებს. აი, მაგალითად, მე ერთი მეზობელი მყავს, გამოთხოვილია მარანაში, ტერეზა კარაკაული... არ მუშაობდა ფიზიკურად, მაგრამ იმდენი ვქენი, ჩავაბი შრომაში! განა ეს ცუდია?!

## ტყვიავი და ტყვიაველები

რამდენი კარგი სოფელია ქვეყნად. ცუდი სოფელი არ არსებობს. სოფელს მხოლოდ ცუდი ადამიანები უტეხენ სახელს. ტყვიავი კი ოდითვე იდგა სახელოვნად. ვერც ქსნის ერისთავმა და ვერც ამილახვარმა ვერ გასტეხეს ტყვიაველები. სოფელი ხმალშემართული ეგებებოდა მზის ამოსვლას. სტამბაც მოაწყვეს. გაბო ჩიხლაძემ პარტიზანული ჯგუფი შეადგინა... მარტო კეცხოველების გვარი იკმარებდა, რომ ტყვიავი ტყვიავად დარჩენილიყო!

ქართლის ეს სოფელი ამაყობს, რომ ჩვენს სამშობლოს მისცა 20 ინჟინერი, 12 აგრონომი, 6 ექიმი, 42 მასწავლებელი, 4 გეოლოგი, 5 იურისტი, 7 ეკონომისტი, 4 მეცნიერ-მუშაკი... და კიდევ იზრდებიან მართვენი. არაერთხელ დაუმსახურებიათ ტყვიაველებს პარტიისა და მთავრობის მადლობა, საპატიო ჯილდოები, სამახსოვრო დროშები, ბევრი მოწინავე დაუჯილდოებიათ ორდენებითა და მედლებით. სოფელი ჰქვია ტყვიავს, თორემ სოფელი აღარ ეთქმის...

1971 წელსაც გაიმარჯვეს ტყვიაველებმა. ავ თვალს არ ენახებოდა მათი ხილის ბაღები. 7.168 ცენტნერი ხილი ჩააბარეს სამშობლოს, თითოეულ ჰექტარზე 678 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიწიეს, 889 ცენტნერი ხორცი აწარმოეს.

მხარში ამოუდგნენ ტყვიაველები ხუცუბნელებს, რადგან მათი თაოსნობა ერის საქმეა, ხალხის საქმეა, თითოეული სოფლის საქმეა.

არის ერთი შემორჩენილი ხალხური ლექსი, რომელიც ალარ უხდება ტყვიავს, უნდა გავასწოროთ:

ღმერთმა... დალოცოს ტყვიავი...
და ტყვიაველები!

ზეგლარ ნოზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩანახატები

მხატვარი ცინარა ტერელაძე.



# თუშური ცეკვა

### ჩანახატი

სოფელ ინდურთაში ერთი თვალწარმტაცი ქალი ცხოვრობდა. კარგი მომღერალი ყოფილა და მომლხენი თურმე. გულმხიარულს, საცეკვაო ადგილი ვერ შეურჩევია მთის ფერდობებსა და ხორხებში. იმიტომაც დუმდა.

ერთხელ, თურმე, წინდასა ქსოვდა და თან მიდიოდა. დაინახა მოთეთრო-მოყვითალო ფერის პირსწორი ქვა, მოეწონა დიაცს, ზურგზე მოიგდო ლოდი, ქვევით ჩამოიტანა და დადო ინდურთისა და საგირთის წყლების შესაყარში, დადო და გაასწორა. ერთი მხრიდან საგირთის წყალმა დაუწყო ლოკვა ბრტყელ ლოდს, მეორიდან — ინდურთისამ.

შეიკრიბნენ ინდურთის, საგირთის, ეთელტის, მოზართისა და წაროს ბინადარნი, ჩამწკრივდნენ ქვის ირგვლივ.

— რისთვის გინდოდა ეს ქვა? — დაეკითხნენ ქალს გაოცებული თუშები.

— ცეკვა მინდა და ადგილი ვერ მიპოვია ამ მთებში, ახლა კი ავდარშიც შემიძლია ჩემი ხელოვნება გიჩვენოთ და კარგ დარშიც.

— აბა, ახლავე გვიჩვენე! — დაიზრიალა ხალხმა.

აკვნესდა სალამური.

ქალმა დაიძახა:

— ჰა, მოედან

ხალხს გამოეყო ტანწვრილი ვაჟი და დაიწყო ცეკვა. ერთი წრე რომ შემოხაზა, ქალი გაიწვია. ქალმა დაღლილი მკლავები მაღლა ვერ აზიდა. მოხდენილად ჩაუშვა დაბლა და სწრაფი გოგმანით წავიდა წინ, ნახევარი წრე რომ გაიარა, მარცხენა ხელი ძლივს ასწია მაღლა და უკან სვლით მოხაზა მთელი წრე, მერე ისევ წელის მომხიბლავი რხევით გასრიალდა წინ, უკან-უკან რომ იწყო სვლა, თვალთ დაუბნელდა დაქანცულს. მაინც მიაღწია საცეკვაოდ გამოსვლის ადგილს. იქ კი ძალაგამოლეული მუხლები მოეკვეთა და დაეცა. შეჩოჩქოლდა ხალხი. ლოდზე უსიცოცხლოდ მისვენებულ ქალს თვალები დაუხუჭა ვაჟმა.

ამის შემდეგ თუშები ცეკვის დროს მხოლოდ ორ წრეს უვლიან და არც ხელებს წევენ მაღლა.

ის თეთრი ლოდი კი დღესაც ინდურთისა და საგირთის ხევთა შესაყარში დევს და წმინდა ადგილადაა აღიარებული.

# თუში ქალი



ბნელი ღამე იცის წოვათაში.

ცხვარი რომ დაეყრება, მარტო ჩანჩქერთა ხმაური ისმის სამ-ოთხნაირი, ზოგი შრიალისა და ზოგი ჩურჩულის მაგვარი.

იმიტომაც უადვილდებოდა მტერს ახლოს მისვლა. ცელქი ნიავი მუდამ ფხიზლობდა. თითისწვერებზე დარბოდა, ფარის ახლოს წამოწოლილ ნაგაზს ყურში ჩასძახებდა:

— ადექ, მტერი მოახლოვდა! — და ახლა სხვასთან გაიქცეოდა.

ძაღლიც თავს წამოსწევდა, ღრმად შეიყნოსავდა ჰაერს, უკანა ფეხებზე დაცუცქდებოდა და გააბამდა შემზარავ ყმუილს. სხვა მოძმენიც მისცემდნენ ხმას.

ხალხი ფეხზე დგებოდა.

უკუნ სიბნელეში წითელი ყელსახვევივით აფრიალდებოდა ცეცხლის ალი.

აბოლდებოდა მაგეხის ციხე.

ასე იყო მუდამ და ასე მოხდა იმ ნაღვლიან დღესაც.

ცეცხლის ალმა გაანათა წამით მაგეხის ციხის კედლები. წოვათის სოფლების მცხოვრებნი ციხეებში ჩაიკეტნენ. ოჯახს ციხეში მხოლოდ თითო ძროხის შეყვანის უფლება ჰქონდა.

დაბლა სართულზე ბღაოდა საქონელი. ტიროდნენ ბავშვები. სათვალთვალოებს არ შორდებოდნენ თუშურქუდიანი ხმლოსნები.

ხელიხელჩაკიდული მთები კი ამაყად იყურებოდნენ:

— მრავალი ვაჟკაცობა გვინახავს თუშთა!

ზოგი კლდე იცრემლებოდა:

— ბევრჯერ მინახავს დამარცხებულნი, ცოტანი არიან და იმიტომ სჯაბნის მტერი.

ახლაც შიშის თვალით გაჰყურებდა მაგეხის ციხიდან ამოსულ დაკლაკნილ ბოლს. თან იცრემლებოდა, მისი ცრემლი ჩანჩქერს ერთვოდა და კვნესა-ქვითინით ბარისკენ მიექანებოდა.

ფერმკრთალი დილა კი სიცილ-კისკისით ეშვებოდა მაღალი მთის წვერიდან და თეთრი მანდილის ფრიალით მიერეკებოდა სიბნელეს.

— როდემდე უნდა ვისხდეთ ციხეში. იცრემლებიან ბალღები. უნდა გავიგოთ რა მოხდა გალმით, — თქვა მოთავემ.

— მტერი არა ჩანს!

— არც აქეთ!

— არც აქედან! — თქვეს მოთვალთვალეებმა, თან სათვალთვალოს თვალს არ აშორებდნენ.

მართლა არ ჩანდა მტერი. ციხიდან ამოსულ თეთრ ბოლს კი ცაში აჰქონდა სიმაგრეში გამოკეტილი ხალხის ღაღადი.

— უნდა გავიგოთ, რა მოხდა გალმა. — ისევ თქვა მოთავემ.

ახალგაზრდები წამოიშალნენ.

— შეჩერდით! — გასასვლელთან აღიმართა წელში მოხრილი ხნე ქალი. — თქვენ, ახალგაზრდები, სოფლისთვის საჭირო ხართ, გაუფრთხილდით სიცოცხლეს. მე კი ჩემი კალო გალეწილი მაქვს. მე წავალ. მომკლავენ? დავისვენებ. და თუ ცოცხალი დავრჩი, ამბავს მოვიტან. — ისეთი ცეცხლიანი თვალებით იყურებოდა მოხუცი, რომ სისხლაჩქერებულმა ვაჟებმა ველარაფერი უთხრეს.

წელში მოხრილი მოხუცი ფრთხილად გავიდა ციხის კარიდან და აღმართს შეუყვა.

ნიავი აჰყვა ფეხდაფეხ, შავი მანდილის წვერებს უფრიალებდა, უძალო მუხლში ძალას აძლევდა, თან ტკბილი ხმით ჩასჩურჩულებდა:

— ბარაქალა შენს დედობას, ქალო!

მეციხოვნენი თვალს არ აშორებდნენ ნელი ნაბიჯით მიმავალს. აღმართი აათავა ოთხი ვაჟკაცის დედამ. თვალს მიეფარა. შვილებს გული შეუქანდათ:

— რად გავწირეთო დედა.

— ბოლი აღარ ჩანს!

— ცეცხლი ჩაქრა! — თქვეს მოთვალთვალეებმა.

მართლა აღარ ჩანდა ბოლი, მთის ფერდობიდან კი ფრთხილი ნაბიჯით ეშვებოდა შავმანდილიანი, წელში მოხრილი ქალი.

— მტერი მალევე გაქცეულა, ცეცხლის ჩაქრობა კი დავიწყებია გახარებულ ყარაულს, — აუწყა მოხუცმა.

ასეთი იყო თუში ქალი, ქართველი დედა.

ელისო ბილანიშვილი



# რა უნდა ინატროს ადამიანმა...

ამას წინათ ნათესავთან გახლდით წვეულებაზე. სუფრაზე ყურადღების ცენტრში ერთი ოჯახის შემადგენლობა მოექცა. დედას და ქალიშვილს გადაპრანჭულად ეცვათ, არც მამა გამოიყურებოდა ნაკლებად. ისინი ძალზე თამამად იქცეოდნენ, მათმა ათი წლის გოგონამ დაგვიანებული სტუმრების დანახვისას ისიც კი განუცხადა მშობლებს: მე უკვე გითხარით, ვინც არ უნდა მოვიდეს, არ ავდგები-მეთქი.— დედამ ჯერ საყვედურით შეხედა ქალიშვილს, მერე ნაზად გაუღიმა.

მე იმ გოგონას სახელი არ ვიცი, არც მის მომღიმარ დედიკოს ვიცნობ, შევნიშნე მხოლოდ ის, რასაც იმ ბავშვის დედ-მამა ვერ ამჩნევს: მშვენიერი გარეგნობის გოგონა ცუდი გაზრდილია. მას არავინ ასწავლა ელემენტარული ზრდილობის წესები: უფროსს ადგილი დაუთმოს, საზოგადოებაში ხმამაღლა არ ილაპარაკოს და სხვა წვრილმანი, რასაც ბავშვი სუფრაზე ამჟღავნებდა. გუნებაში მეც, და ალბათ სხვებმაც, გავკიცხეთ დედა, რომელმაც, მართალია, ეკონომიურად არაფერი გაუჭირვა შვილს, მაგრამ დააკლო მთავარი — აღზრდა.

ძალაუნებურად, საპირისპიროდ გამახსენდა ერთ-ერთი დედა...

— ამბობენ ბიჭების გაზრდა ძნელიაო, მაშ როგორ მოახერხეთ ქალბატონო ქეთევან სამი ვაჟის ასე სრულყოფილად აღზრდა?

— შრომით, მხოლოდ და მხოლოდ შრომით, — ამბობს ქეთევანი, — ჩვენს ოჯახში ყოველთვის საქმიანი ატმოსფერო იყო. მე და ჩემი მეუღლე მთელი ცხოვრების მანძილზე თავაუღებლივ ვშრომობდით და ვშრომობთ ახლაც.

ბუნებრივია, ასეთი ოჯახის ტრადიციებზე აღზრდილი ბავშვები მომავალში იმას გამოავლენდნენ, რასაც მშობლებისაგან ხედავდნენ.

დედა არასდროს უჩიჩინებდა შვილებს ისწავლეთო, მათთან ყველაფერი წყნარად და მოფიქრებულად ხდებოდა. ბავშვები თავიდანვე მიაჩვიეს შრომასა და დამოუკიდებლობას. სანიმუშო იყო მათი ზრდილობა, თავაზიანობა, თავმდაბლობა და, რაც მთავარია, შრომისმოყვარეობა. ასეთებად დარჩნენ ბოლომდე. ორი ვაჟი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ემზადება, უმცროსმა ახლა დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე.

## პედაგოგი

აუდიტორიაში შედის ლექტორი. ის არ ყვირის, არც აშინებს, არც ეფერება სტუდენტებს. მათ შორის მოკრძალების რაღაც უხილავი ზღვარია. ქეთევან დგებუაძე კითხულობს მცენარეთა ბიო და ორგანულ ქიმიას. ტექნოლოგების გარდა მას უსმენენ აგრონომიული ფაკულტეტის, ნიადაგმცოდნეობა-აგროქიმიის სპეციალობის და სხვა ფაკულტეტების (დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების) სხვადასხვა კურსის სტუდენტები. ლექციების გარდა ის ახალგაზრდებს ეხმარება საკუთარი ნათარგმნი წიგნებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით. ამავე დროს, აჩვევს წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას. ზრუნვას მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

არც ერთი წუთი უქმად! აი დღევანდელობის დევიზი. სოფლის მეურნეობას სჭირდება სპეციალისტები. ამიტომ ინსტიტუტის მეცნიერები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მომავალი აგრონომების, სოფლის მეურნეობის ინჟინერ-ტექნოლოგების, ინჟინერ-მექანიზატორების, მეტყევეების, უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტების და სხვათა აღზრდას. მთელ მუშაობას წარმართავენ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, მაღალი სახელმწიფო შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ენთუზიაზმით ეხმაურებიან ამ მოწოდებას ჩვენი რესპუბლიკის პატიოსანი მშრომელი ადამიანები. მათ რიცხვშია ქეთევან ნიკოლოზის ასული დგებუაძე. მას არაფერი რჩება მხედველობიდან. მეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის 27 წლის სტაჟის მიუხედავად, იგი ლექციაზე ყოველთვის დაძაბულია. სტუდენტებმა რომ საგანი შეიყვარონ, აუცილებელია მაღალ დონეზე მომზადებული ლექცია, მაშინ ისინი მთელი გულისყურით მოისმენენ და ისწავლიან კიდეც. მაგრამ, თუ ერთხელ რომელიმე საკითხი ვერ გაიგეს, წაუყრუებენ და შემდეგში მასალა უინტერესო გახდება. ამიტომაა ქეთევანი თავისთავისადმი ასეთი მომთხოვნი, ცდილობს მისი ლექციები იყოს მუდამ ღრმაშინაარსიანი და ამომწურავი, არაფერი დარჩეს უთქმელი, არ იყოს რაიმე საკითხი ბუნდოვანი და გაუგებარი.

## მთარგმნელი

საწერი მაგიდა სავსეა ხელნაწერებითა და კატალოგებით. წიგნები დაზვინულია ყველგან. მის კაბინეტში მოხვედრილი ადამიანი მაშინვე მიხვდება, რომ აქ ქეთევანი მუშაობს, მუშაობს დღედაღამე, თარგმნის და პარალელურად სადოქტორო დისერტაციას ამზადებს.

ახალგაზრდების სიყვარულმა, განსაკუთრებით იმ სტუდენტების დახმარების სურვილმა, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობდნენ რუსულ ენას, ქეთევანს თარგმნა დააწყებინა. მან გადმოაქართულა გამოჩენილი მეცნიერის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ლ. კრეტოვიჩის სახელმძღვანელო — კაპიტალური ნაშრომი „მცენარეთა ბიოქიმიის საფუძვლები“, რომელიც ქართულ ენაზე ორჯერ გამოიცა და რომელმაც 1972 წელს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

მცენარეთა ბიოქიმიას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტების ჩამოყალიბებისათვის. ეს წიგნი ნამდვილად ეხმარება სტუდენტებს, ვინაიდან ის მშობლიურ ენაზე ერთიანი სახელმძღვანელოა. წიგნი თარგმნილია კარგი ქართულით, თარგმანში შესულია ზოგიერთი ახალი მასალა, რასაც მთარგმნელი ავტორისაგან იღებდა თარგმნის პერიოდში.

ქეთევანს ეკუთვნის ასევე თარგმანი პროფესორ ბ. პლეშკოვის დიდტანიანი სახელმძღვანელოსი — „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ბიოქიმია“, რომელიც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს ესაჭიროებათ. ის ავტორია აგრეთვე პრაქტიკული სახელმძღვანელოსი. ახლა გამოდის მისი „მცენარეთა ბიოქიმიის პრაქტიკუმი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის“.

## 1.500 ლექცია

1960 წელს ქალაქ მოსკოვში, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ III პლენუმზე, მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით, დიდი გულისყურით მოისმინეს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციის ანგარიში. კათედრაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა ენერგიული ქალი, რომელიც ჰყვებოდა თავისი მუშაობის შესახებ.

...ქეთევან დგებუაძე 1957 წლიდან თავმჯდომარეა ინსტიტუტთან არსებული საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციისა, რომელიც რაიონული ორგანიზაციის უფლებებით სარგებლობს. საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა როგორც თბილისში, ასევე რესპუბლიკის სხვადასხვა რაონებში. ერთი წლის განმავლობაში 1500 ლექცია ჩატარდა მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის ხაზით.

პლენუმზე ქეთევან დგებუაძის მუშაობამ მაღალი შეფასება მიიღო, მასთან ერთად ინსტიტუტის საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციის 18 წევრი დაჯილდოვდა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" სიგელებით.

### დროს ასწრებს

დრო ქეთევანის მტერია, მაგრამ ქეთევანი ყველაფერს ასწრებს...

რატომ უნდა ინატროს იმ ქალმა დღეღამეში 24 საათის ნაცვლად 48 საათი, რომელმაც ცხოვრებაში ყველაფერი მოასწრო: ბედნიერი დედაა, შესანიშნავი მეუღლე და კარგი მეოჯახე, ასპირანტურა დაამთავრა, სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, 20-ზე მეტი მეცნიერული შრომა დაწერა, წიგნები თარგმნა, ამზადებს სადოქტორო დისერტაციას...

ქეთევანი წლების მანძილზე აქტიურ კომკავშირულ და პარტიულ მუშაობას ეწეოდა: იყო ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, საკავშირო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სტუდენტი-ახალგაზრდობის საბჭოს წევრი, სამამულო ომის პერიოდში — ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის განთავისუფლებული მდივანი.

ამჟამად ქეთევანი არის საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების გამგეობის წევრი და ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, მენდელეევის საზოგადოების წევრი, საქ. კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომთან არსებული ქალთა საბჭოს წევრი და სხვა.

მისი სადოქტორო შრომა „მცენარეულ ორგანულ მჟავათა ქიმია და ბიოქიმია" ეხება მცენარეებში ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს. ნაშრომი მონოგრაფიული ხასიათისაა. იქ თავმოყრილი იქნება მის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული ექსპერიმენტული ცდების შედეგები. არც რუსულ და არც ქართულ ენაზე არ არსებობს შემაჯამებელი მასალა მცენარეულ ორგანული მჟავების ქიმიასა და ბიოქიმიაზე. ეს იქნება სახელმძღვანელო, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ახალგაზრდობას, ასევე ამ დარგში მომუშავე პირებს.

• • •

კიდევ რა უნდა ინატროს ქალმა, რომელმაც დაძაბული შრომითა და პატიოსანი ცხოვრებით ბევრი ოცნება შეისრულა. მისი სიცოცხლე ლამაზია და შინაარსიანი.

**ირმა ჩოფიკაშვილი**



# ზოია რუხაძე

გულისტკივილით დავცქერი ამ მგზნებარე პატრიოტის მშვენიერ, შთაგონებულ სახეს... გოგონასი, რომელმაც ქვეყნად სიცოცხლის გამარჯვებისათვის გასწირა საკუთარი, ახალგაზრდა სიცოცხლე.

მჯერა, ზოიას ხსოვნა, მისი გმირული სიცოცხლისა და დაღუპვის ამბავი ლეგენდად გადავა თაობიდან თაობაში, როგორც მაგალითი სამშობლოს სიყვარულისა.

ამბობენ, ხსოვნა მკაცრიაო, მაგრამ იგი მშვენიერიცაა. ხანდახან რატომღაც ისიც გვგონია, რომ წლებს ძალუძთ წაიღონ და დავიწყების ნიავქარს გაატანონ ყველაფერი, მაგრამ არა! ადამიანი მისი კეთილი, დიდი საქმეებით მარად უკვდავია — სამამულო ომის გმირი ზოიაც ხომ ცოცხლად დარჩა ხალხის გულში, მის მოგონებებში, ლექსებში, პოემებში...

**ი. ურლანისი,**
მოსკოვი.

# ძიება და შემოქმედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლების თანამედროვე პრობლემების მეცნიერულ შემოწმებას, შეფასებასა და გადაწყვეტას ემსახურება თბილისის რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლა (დირექტორი ლ. ჩიქვანაია). ამ სკოლაში ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები ცდიან მეცნიერული აზრის სისწორეს, სწავლების ახალ მეთოდებს, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს.

რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? რა მოცულობით ვასწავლოთ? — ეს საკითხები აღელვებს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ყველას, ვისაც უყვარს ჩვენი ნორჩი თაობა და ზრუნავს მის მომავალზე, მის ფიზიკურსა და გონებრივ ზრდა-განვითარებაზე. რედაქციაში მოგვდის წერილები, სადაც მშობლები ერთგვარ შეშფოთებას გამოხატავენ გართულებული სასწავლო პროგრამების გამო. ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე ეტაპზე, ჰუმანიტარულ თუ ზუსტ მეცნიერებათა აღმავლობისა და განვითარების ეპოქაში, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა: ვასწავლოთ ისე, როგორც 20-30 წლის უკან ასწავლიდნენ. ეს შეუძლებელია იმიტომაც, რომ უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ სასწავლო პროგრამებს მეცნიერების უახლეს მიღწევათა კვალობაზე ადგენენ. ამის შესაბამისად უნდა აიგოს საშუალო სკოლის პროგრამებიც, რომ საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდამ შეძლოს, როგორც უმაღლესი განათლების მიღება, ისე ცხოვრების გზის გაგნება, მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე აგებული მანქანა-იარაღებისა და ხელსაწყოების გამოყენება.

ამგვარად, ცხოვრებამ დააყენა საკითხი სასწავლო პროცესის გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ და ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის სპეციალისტები ეძებენ ახალ-ახალ გზებს. ექსპერიმენტული სწავლების თანამედროვე პრინციპებს საფუძვლად უძევს საბჭოთა ფსიქოლოგიის ფუძემდებლის ვიგოდსკისა და დიდი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის განვითარების თეორია. ამ თეორიის მიხედვით მოზარდში ყოველი უნარის აღზრდას გარკვეული დრო და პერიოდი აქვს. რომელიმე უნარის განვითარება თუ გარკვეულ ეტაპზე არ მოხერხდა, შემდეგ ეს უნარი ბევრიც რომ ვეცადოთ, იმ სიღრმით აღარ განვითარდება. უნარი თესლს ჰგავს, თუ გვიან დათესეს, შეიძლება გაღვივდეს, მაგრამ მომწიფებასა და ნაყოფის მოცემას ვეღარ მოასწრებს. დ. უზნაძის თქმით, სწავლაში იმ კონკრეტულ მოცემულობას კი არა აქვს აზრი, რომელიც ცოდნის სახით გვეძლევა, არამედ იმ უნარს, რომელიც ამ ცოდნის დაუფლებაში ღებულობს მონაწილეობასო. აქედან გამომდინარეობს დებულება: ისე უნდა ვასწავლოთ, რომ მოსწავლეებს განვუვითაროთ მეტი ინტერესი სწავლისადმი, განვუვითაროთ ყურადღების, ანალიზის, სინთეზის, განზოგადების, განსჯის, დასკვნების გამოტანისა და სხვ. უნარი. ბავშვის ფსიქიკის ღრმა ცოდნისა და გათვალისწინების შედეგად განვითარების თეორიაზე უნდა აიგოს სწავლების პროცესი, მეთოდები, პროგრამები, სახელმძღვანელოები. ამ პროცესის ერთ-ერთი ექსპერიმენტია ექვსწლიანთა სწავლება, რაც ამ ათიოდე წლის წინათ წარმოუდგენლად მიაჩნდათ. ექსპერიმენტულ ჯგუფში ექვსწლიანთა სწავლების პრინციპი თამაშით სწავლაა, ეს ფსიქოლოგიურად სრულიად გამართლებულია, მაგრამ სასწავლო თამაშს სხვა მიზანდასახულება და შინაარსი გააჩნია ბავშვის გონების გასავარჯიშებლად, მისი სხვადასხვა უნარის აღსაზრდელად. ამ დროს მასწავლებლის როლი განსაკუთრებულია. ის შემოქმედიცაა, მსახიობიცა და აღმზრდელიც. „მარჯვე მეთევზე" ჰქვია ექსპერიმენტული ჯგუფის ერთ-ერთ თამაშს, —ნაირფერი თევზების „ტბაში" ნორჩები ანკესით თევზაობენ. დაჭერილად ის თევზი ჩაითვლება, რომლის „ჯიბეში" მოთავსებულ ამოცანასაც ბავშვები ამოხსნიან. ეს ამოცანები უმარტივესი ხასიათისაა, მაგალითად, ოთხი წერტილის შეერთება სწორი ხაზებით, ბავშვები ამ დროს სწავლობენ ორ წერტილს შორის სწორი ხაზის გავლებას, მიღებული გეომეტრიული ფიგურების — ოთხკუთხედის, სამკუთხედისა და მართკუთხედის სახელწოდებას, მათ განმასხვავებელ ნიშნებს. ექვსი წლის ბავშვისათვის გეომეტრიული ფიგურების სწავლა თითქოს ძნელია, მაგრამ რაკი ცოდნა ბავშვს თამაშის დროს ეძლევა, ის ძალდაუტანებლად, იოლად ითვისებს ახალს, თამაშით სწავლობენ ანბანსაც. მათი საკითხავი წიგნია „დედაენის" მეორე ნაწილი, შედგენილი და დასურათებული ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ. ექსპერიმენტული 0-ჯგუფის მოსწავლეებისათვის ლაბორატორიას შემუშავებული აქვს გემოვნებით გაფორმებული ხუთნაირი რვეული, რომლებსაც სასწავლო წლის სხვადასხვა მონაკვეთში იყენებენ, რვეულებში თემები მოცემულია. ნახატებზე დაკვირვებითა და აღწერით ბავშვებს უვითარდება აზროვნება, ოცნება, ფანტაზია და შემოქმედების უნარი.

ორი წელია ექსპერიმენტული სკოლის ერთ-ერთ მეშვიდე კლასში დაიწყეს ისტორიის იმგვარად სწავლება, როცა პრობლემური სწავლების დროს მოსწავლე მასწავლებლის ახსნილი გაკვეთილის პასიური მსმენელი კი არ არის, არამედ წამოყენებული საკითხის გარკვევისა და გადაწყვეტის აქტიური მონაწილეა. მსჯელობით, ფიქრით, გარემოს, სიტუაციის, საზოგადოებრივი ფორმაციის არსებითი ნიშნების დახასიათებით მოსწავლეები მიდიან პრობლემის გადაწყვეტამდე.

ექსპერიმენტულ სკოლაში ცალკეულ საგანთა სწავლება მაღალ დონეზე დგას. ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის სამი კაბინეტი, უცხო ენის, გეოგრაფიის კაბინეტები აღჭურვილია ახალი ტექნიკური საშუალებებით და მდიდარ თვალსაჩინო მასალათა ფონდით. ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება (ეპიდიოსკოპი, ფილმოსკოპი, მაგნიტოფონი, სამართავი პულტი, დიაფილმი, კუდოფირი) ოპტიმალურს ხდის სწავლების ზეგავლენას, შთამბეჭდავად მოქმედებს ბავშვზე. მკაფიო განწყობილებებს უმდიდრებს და უმტკიცებს. უზოგავს დროს. მაგალითად, გეოგრაფიის კაბინეტში რუკის გამოსაცვლელად მხოლოდ სამართავი პულტის ღილაკზე თითის დაჭერა და ოთხი წამია საჭირო. აქ 24 სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის გაშლილი რუკა ინახება კედელში მოთავსებულ სპეციალურ დანადგარში. ამავე კაბინეტში შორეული ქვეყნების, კონტინენტების გასაცნობად და იქ „სამოგზაუროდ" სათანადო ფირი და კინოაპარატის ჩართვა კმარა. მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებში ეპიდიოსკოპით მასწავლებელი ორ-სამ წამში ურთულეს ნახაზს „აგებს" და „ამოხსნის" ყველანაირ განტოლებასა თუ ამოცანას.

თვალსაჩინოების საუკეთესო ნიმუშია ქიმიის კაბინეტში მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ დამზადებული ელემენტთა პერიოდული სისტემის ტაბულა, რომელიც კუბებისაგან შედგება. ლითონის ჩარჩოში ჩასმული კუბები მოსწავლეთა სურვილისამებრ ბრუნავენ ღერძის გარშემო. ტაბულის პირველ გვერდზე მოცემულია მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემა, მეორე გვერდზე — ელემენტთა აღმოჩენის ისტორია, მესამეზე — ელემენტთა მოკლე ფიზიკური და ქიმიური თვისებები, მეოთხეზე — ელემენტთა ბუნებაში გავრცელების სახეები.

ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებს სკოლაში თავის პოეტური კუთხეც აქვთ. ეს მათი ლიტერატურის კაბინეტი და პოეზიის დარბაზია. იგი მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავისი ხელით მოხატეს, შიგ უფაქიზესი სახეები, ფიქრი და ოცნება ჩააქსოვეს. პოეზიის დარბაზში რუხი ფილაქანით მთის კოლორიტული კედელი ააგეს, თავიანთი ხელით გამოჭედილი ვაჟას ბარელიეფით დაამშვენეს და ვაჟას კედელი დაარქვეს. ახლა აქ ნორჩები მხატვრულ-ლიტერატურულ ხელნაწერ ჟურნალს — „ბილიკებს" უშვებენ, პოეზიის დილას მართავენ, ლიტერატურულ ვიქტორინებს აწყობენ, აკაკის, გალაკტიონის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის ხმებს უსმენენ, ქართული სცენის დიდოსტატთა იმპროვიზაციებს ეცნობიან, კითხვის კულტურას იმაღლებენ და მხატვრულ გემოვნებას იხვეწენ.

# ძიება და შემოქმედება



შემოქმედებითი საბჭოს წევრ პედაგოგთა ჯგუფი



მზია გვილავა მოსწავლეებთან



მასწავლებელი ია მანჯგალაძე



გეოგრაფიის კაბინეტი. გაკვეთილს ატარებს ნ. ტარიელაშვილი.





ლეილა დოლიძე



ა. ბუაძე

ფოტო დ. იაკობაშვილისა

მოსწავლეთა ინტერესებისა და მისწრაფებების შესაბამისად, სკოლაში დიდი ადგილი ეთმობა სექციების, ფაკულტატივებისა და საოლიმპიადო ჯგუფების მუშაობას. მათში ერთიანდებიან მოსწავლეები, რომლებიც ცალკეულ საგნებში ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავების სურვილსა და მონდომებას იჩენენ. ლიტერატურის ფაკულტატივში სწავლობენ მწერლებს ან მწერალთა იმ ნაწარმოებებს, რომლებიც სასკოლო პროგრამით არ ისწავლება, ქართულ ლიტერატურას იხილავენ საბჭოთა და საზღვარგარეთული ლიტერატურის და ხელოვნების სხვა დარგებთან მიმართებაში. პრაქტიკული სტილისტიკის ფაკულტატივში სწავლობენ მწერლის სტილს ლექსიკა-გრამატიკული ფორმების თვალსაზრისით. თითქმის ყველა საგანს თავისი სექცია შეესაბამება. მათემატიკისა და ისტორიის სექციები უშვებენ მეოთხედურ ჟურნალებს: „პირამიდებსა“ და „ვარძიას“, სადაც ნორჩი კორესპონდენტები საინტერესო მასალებს აქვეყნებენ. სექციათა მუშაობას ხელმძღვანელობს შემოქმედებითი საბჭო, რომელიც განსაზღვრული იდეური მიმართულების შესაბამისად წარმართავს მუშაობას. აქ წაკითხული და მოწონებული მოხსენებები იკითხება სექტორთა გაერთიანებულ სხდომებზე. სექტორთა გაერთიანებულ სხდომაზე მოწონებული თემები გააქვთ შიდასასკოლო სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაზე. გასულ სასწავლო წელს კონფერენციაზე 50 მოხსენება გამოიტანეს. აქედან 28 მოხსენებამ დაიმსახურა მოწონება და გაეგზავნა ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა სასახლეს რესპუბლიკის მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენციისათვის. შიდასასკოლო კონფერენციის მუშაობას ესწრებიან და აფასებენ ჩვენი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

შარშან 10-დან 22 ივნისამდე, ექსპერიმენტული სკოლისა და სპორტული სექტორის თაოსნობით, ჩატარდა მოსწავლეთა საკავშირო საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს და მიმდინარეობდა დევიზით — „მეგობრობა“, პირველი ადგილი და პრიზი „ოქროს გვირგვინი“ მოიპოვა ამავე სკოლის მეექვსეკლასელმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, მასვე მიეკუთვნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზი. ჩვენი ჟურნალის პრიზი დაიმსახურა ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლემ ნინო გურიელმა.

ექსპერიმენტულ სკოლაში კარგად სწავლის ყოველგვარი პირობაა შექმნილი. სკოლის ახალი შენობა, აპარატებითა და ხელსაწყოებით შეიარაღებული კაბინეტები, სახელოსნოები, საკლასო ოთახებში საკუთარი კონსტრუქციის მერხები და დაფები. სპორტული დარბაზი, მოედანი, საცურაო აუზი და, რაც მთავარია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთპატივისცემით განპირობებული დამოკიდებულება. სკოლის მთელი კოლექტივი ეძიებს, იღწვის და ზრუნავს, რათა სწავლება ისეთ სიმაღლეზე დააყენონ, რომ მოსწავლეს სკოლისაკენ მიუხაროდეს.

მარიკა გვიმრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინიატურები

ნიკოლოზ ჩაჩავა

## მეგობარი

. მეგობარს ეძახიან ამ კაცს.
იგი ბავშვობიდან ჩემი მეგობარიც იყო.
ახლა განდიდდა და სხვაგან გადაინაცვლა.
სიცოცხლის მიწურულში მაინც მოაგონდება
ჩვენი ბავშვობა.
როგორ მაწყენინა!

## ყური დავუგდოთ გულს!

ისე მოხდა რომ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით.
მე მაინც მახსოვხარ.
ჩემი გული ვერ დავაჯერე, რომ შენ დაგვივიწყე.
„ასე როგორ შეიძლებაო, ადამიანმა ადამიანი გასწიროსო“!
ასეა და რა გაეწყობა.
აი, გუშინ შენ დაგინახა და ვეღარ გავაჩერე,
გამალებით აძგერდა და აძგერდა.
შენ კი ვითომ ვერ შეგვამჩნიე, ვერაფერი გაიგონე.
თურმე ყველას არ შეუძლია გულის საუბარი გაიგონოს!
ასეთ კაცზე იტყვიან, უგულოაო.
გესმის?!

## უნდა დავეხმაროთ!

დიდი ხნით დაშორებული იყო თავის ქვეყანას.
არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი.
იგონებდნენ...
ეცოდებოდათ...
სასიკვდილოთ არ იმეტებდნენ...
ერთ დღეს დაბრუნდა.
ყველაფერი ახლებურად ეჩვენებოდა.
თითქოს პირველად ნახულობდა იმას, რაც მასთან შეზრდილი იყო და ათასჯერ ნახული ჰქონდა.
ახალფეხადგმულივით შეჰხაროდა ყველაფერს.
უნდოდა შეევსო დანაკარგი.
მაგრამ დაიბრუნებს კი დაკარგულ დღეებს?
უნდა დავეხმაროთ.

## რა ბედნიერები იყვნენ

პაპანაქება სიცხე იდგა.
უნივერსიტეტთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი.
მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა.
რაღაც უცნაური ჩოჩქოლი და მღელვარება სუფევდა.
ერთი ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი ჩრდილს შეფარებოდა და ვარდისფერი ცხვირსახოცით წამდაუწუმ ოფლს იწმენდდა.
დიდი ხანია ელოდებოდა ვიღაცას.
შენობიდან ახალგაზრდა ვაჟი გამოვიდა. გაფაციცებით ათვალიერებდა ხალხს.
ფეხმძიმე ქალი უცებ წამოდგა და მისკენ გაემართა.
— გავიმარჯვე, გავიმარჯვე... შენ რომ აქ მეგულებოდი, ძალა შემემატა და საოცრად გავთამამდი, — შესძახა ვაჟმა.
. ოფლიან შუბლზე ემთხვია და გულთან მიიკრა ნერვიულობისაგან გაცივებული მისი ხელები.
ვერვის ამჩნევდნენ.
რა ბედნიერები იყვნენ ეს ახალგაზრდები მაშინ.

ლია ჭავჭავაძე

## მირანდა გამსახურდიას თებერვალი

ეფინა დახრილ წამწამებს ორი ცისფერი მძივი,
ეძინა კოშკის დედოფალს სამარადისო ძილით,

ზამთრის შემცივნულ ხეებზე მიმოდიოდა მთვარე,
ეძინა კოშკის დედოფალს, აღარ ახელდა თვალებს,

ესვენა ლამაზ თვალებში ხატი ზარზმის და ოშკის,
იყო თებერვლის მწუხრი და გარიწდებული კოშკი.

ისმოდა, ყინვის წკრიალში ზარი ზარს როგორ უხმობს,
— ესე სანთელი სათნოი განლეულაო უხმოდ,

თუთარჩელაში გამოსულს აწ აღარავინ გელის,
ვაიმე, კოშკის პატრონო, გაქრა თოლიგე შენი,

ჩურჩულს — ნუმც ნურვინ იხილავს ჩემს მამულს ლიბომოშლილს —
მოისმენს მხოლოდ ღამე და შენი კოლხური კოშკი...

...ესე სანთელი სათნოი ბრწყინავს ლრუბლების იქით,
გასცდა გალავანს კოშკისას, მზეს შეუერთდა იგი.

## კირითხუროს სიზმარი

იწვა მინდორში კირითხურო, ეძინა,
სიზმრად ღიმილი ნეტარების ეფინა,
შორს, სიცისფრეში მიფრინავდა მაშვრალი,
მკლავზე
ჩვილივით
ნიკორწმინდა ეწვინა...

შალვა საბაშვილი

## სამშობლოს

შენ რომ დაგცილდე, გადაიპრება
სულის ყოველი ძაფი,
შენ რომ დაგშორდე, ჩავიძირები,
მაღლა გადიელის ქაფი.
შენ რომ დაგტოვო, ლექსებს მოპყინავს
დღეები ავბედითი,
შენ რომ უარგყო, დაცლილი სული
მერე ავივსო რითი!
რომ დამავიწყდე, უცებ მოკვდება
ყოველი ნერვი სმენის,
შენში ჩაწნულა ჩემი არსება, —
ვით გაგეყოფა შენ ის!
შენ რომ არ იყო, უცებ შეწყდება
ქროლვა საყვარელ ქართა,
რა გამაჩნია, რა მეპოვება,
რა მაქვს სამშობლოს გარდა?
შენ რომ გიმუხთლო, რად მინდა ძალა
სივრცეთა გადაქელვის?
შენ რომ მომაკლდე, მთელი სამყარო
გამსრესს უსწრაფეს ელვის.

ბავშვებზე ოჯახის აღმზრდელობითი გავლენა სულ უფრო ორგანულად უნდა ეხამებოდეს მათს საზოგადოებრივ აღზრდას.

სკკპ პროგრამიდან

# სწორად ვზრდით თუ არა ჩვენ შვილებს?

გამოთქმა — „ბავშვები ქვეყნის მომავალია“ — სულაც არ გახლავთ ფიგურული. რა თქმა უნდა, მომავალი საზოგადოების პროფილს, მის სახეს მთლიანად განსაზღვრავს მომავალი მოქალაქეების მორალური და სოციალური სახე, მათი მრწამსი, შეხედულებანი, ზნეობა.

ეს უკანასკნელი კი ჩვენზე, ანუ დღევანდელ ზრდადასრულებულ ადამიანებზე, დედებზე და მამებზე, პედაგოგებზე, სკოლაზე, ოჯახზე არის დამოკიდებული.

გარკვეულ დრომდე ჩვენს ხელთაა მომავალი საზოგადოების ძერწვა. ამიტომ განუზომელია ჩვენი პასუხისმგებლობა მომავლისათვის.

სწორად ვზრდით თუ არა ჩვენს შვილებს? ანუ ვზრუნავთ თუ არა ქვეყნის ხვალინდელი დღისათვის, ვუზრდით თუ არა კომუნისტურ საზოგადოებას ღირსეულ წევრებს?

ასეთ შეკითხვას, დარწმუნებული ვარ, შეურაცხყოფადაც კი მიიღებს მშობელი, რომელიც თავისებურად, მართლაც რომ თავს არ ზოგავს შვილების კეთილდღეობისათვის, მაგრამ სულ სხვა საზომით კი ზომავს ამ კეთილდღეობას.

განსხვავებას შეფასების კრიტერიუმში მივყავართ უდიდეს განსხვავებამდე აღზრდის მეთოდებში, და საბოლოო ჯამში — აღზრდის პროდუქტში.

იმით, თუ რა მთავარი მიზანი გვამოძრავებს შვილის აღზრდაში, ცხადია, განპირობებულია როგორ ადამიანს გავზრდით.

თუ აღმზრდელის იდეალი იქნება, როგორც დაცინვით ამბობდა გორკი, „რაც შეიძლება ცოტა მუშაობა და რაც შეიძლება ბევრი ჭამა“, ანუ თვით იდეალი იქნება მეშჩანური და ობივატელური, ბავშვიც ობივატელად გაიზრდება.

აღზრდის საქმეში არ არსებობს წვრილმანი. ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი, პატარა ფაქტი, ის, რასაც უფროსები ზოგჯერ ყურადღების მიქცევის ღირსად არც კი ვთვლით, ღრმა კვალს სტოვებს მოზარდის ფსიქიკაში.

თითქოსდა არაფერია, ტელეფონმა დარეკა, ქმარი აფრთხილებს ცოლს: — მე თუ მიკითხონ, შინ არა ვარ. ცოლი ასეც იქცევა. ამ მომენტში არც ერთს არ შეუნიშნავს იქვე მოთამაშე ბავშვის გაოცებული მზერა.

რამდენიმე დღის შემდეგ, თითქოს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ბავშვი ეკითხება დედას: „დედიკო, ტყუილის თქმა შეიძლება?“ დედა დაბეჯითებით პასუხობს: „არავითარ შემთხვევაში!“ ბავშვს კი კარგად ახსოვს ტელეფონის ეპიზოდი და რწმუნდება, რომ დედა უკვე მეორედ ამბობს ტყუილს.

დედა კი ბავშვისათვის ყველაზე მთავარი ადამიანია.

ზნეობრივ აღზრდაში არაფერი ისე არ ფასობს, არაფერს არა აქვს იმოდენა ძალა, როგორც აღმზრდელის პირად მაგალითს. უზნეო მშობელი წესიერ შვილს ვერ გაზრდის, რადგან ბავშვი ისეთ დეტალს შენიშნავს მშობლის მოქმედებაში, რომელიც თვით მშობელს ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება. ამიტომ მოზარდისადმი დამოკიდებულების კომუნისტური პრინციპი მოითხოვს არა უზნეობის ოსტატურ შენიღბვას, არამედ მის აღკვეთას.

მაკარენკო გვასწავლის: „ყველაფერი აღმზრდელია: ადამიანები, ნივთები, მოვლენები, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ადამიანები გვზრდიან. მათ შორის პირველ ადგილზე მშობლები და პედაგოგები არიან. გარემო სინამდვილის მთელ ურთულეს სამყაროსთან ბავშვი ამყარებს უსასრულო რაოდენობის ურთიერთობას... თითქოს არ ხერხდება მთელი ამ „ქაოსის“ არავითარი აღრიცხვა, მიუხედავად ამისა, ყოველ წუთს გარკვეულ ცვლილებებს ახდენს ბავშვის პიროვნებაში“.

მშობელი და პედაგოგი! ყოველი, რაც კი ჩვენში კარგია, ზნეობრივია, მშვენიერია, — ეს ხომ მათი მცდელობაა, მათი შრომის, კეთილი ნებისა და პირადი მაგალითის წყალობაა. ასევე, თუ კი რამ ცუდია, განსაკუთრებით მოზარდში, უსათუოდ ოჯახის „დამსახურებაა“. ბავშვი მშობელს მარტო სახით, მიხრა-მოხრით, დიქციით კი არ ჰგავს, ძალზე ხშირად ნიჭით, ემოციურობით, ტემპერამენტით, მიდრეკილებებითაც მშობლის კვალზე მიდის. ტყუილად როდი ამბობს ქართული ანდაზა — „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. და თუ მოხდა ისე, რომ ბუნებით ბავშვი არ დაემსგავსა მშობელს, აღზრდა მაინც თავისას იზამს. ჯერ კიდევ დემოკრიტე შენიშნავდა, რომ „ბუნება და აღზრდა მსგავსნი არიან. აღზრდა გარდაქმნის ადამიანს და ამ გარდაქმნით მეორე ბუნებას უქმნის“.

პრაქტიკულად არც ერთ მრუდედ მოარულ კაცს არ უნდა შვილი ცუდ გზაზე დააყენოს. კომბინატორს, მექრთამეს, ქურდს არ უნდა შვილი მის კვალს გაჰყვეს, თუნდაც იმიტომ, რომ მან მშვენივრად იცის — ეს გზა მოლიპული და საშიშია, მაგრამ ის, რასაც ბავშვი წლების მანძილზე ხედავს და იწოვს, ის ატმოსფერო, რომელშიც მოზარდი სუნთქავს, წარუშლელ დაღს ასვამს მის სულს.

საუბარი ფულზე, ოჯახის სურვილი, რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭოს, დიდის მისწრაფება ყველაზე უკეთ ჩაიცვას და მოიკაზმოს, კომფორტი და ფუფუნება, ცხოვრების სავალი გზის მოჩვენებითი სიადვილე, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ნატურისათვის, ის გონებრივი შხამია, რომელიც, როგორც ტოლსტოი ამბობდა, საუბედუროდ ხშირად მიმზიდველია.

ბავშვი მანქანით მიჰყავთ სკოლაში. თუმცა სხვას უკეთესი ხმა და სმენა აქვს, კონცერტზე მაინც ის გამოჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საგანზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, დაუბრკოლებლად იღებს მაღალ ნიშნებს.

ასეთი ახალგაზრდისათვის სამსახურიც ბარე ხუთი წლით ადრე იყო დაჯავშნული. ბინა წინასწარ აღებული და დაკეტილი. იმ დროისათვის, როცა ბავშვი დაკაცდება, ცოლს შეირთავს და, ეგების, ცალკე ცხოვრება მოისურვოსო. ბავშვი ისე ხდებოდა ჭაბუკი და ისე შედიოდა კაცობაში, არც ერთხელ არ უხდებოდა არავითარი, თუნდაც მცირე, დაბრკოლების გადალახვაც კი.

ამდენი, ერთი შეხედვით ობიექტური სიკეთის მიუხედავად, ასეთი კაცი არ შეიძლება იყოს ბედნიერი, რადგან მისთვის არ არსებობს ძნელად მისაღწევის მიღწევით გამოწვეული სიხარული და კმაყოფილება. მას არა აქვს ოცნება, რადგან ამ ოცნებებს „აპროგრამებენ“ სხვები მანამდე, სანამ ყრმა აკვანშია და „აღუს“ ღუღუნებს.

მისთვის უცხოა ის, რასაც ადამიანი შრომის პროცესში და შრომის შედეგად განიცდის.

მაგრამ დგება დრო და ამგვარ უმწიფარასაც უჩნდება სურვილი, ვილაცამ მასზე პატივისცემით ილაპარაკოს, ადამიანთა გარკვეულ წრეში შეიქმნას აზრი, რომ „კაი ბიჭია“, „ძმაკაცობა იცის“, „გამტანია“, „თხოვე, რაც გინდა, უარს არ გეტყვის“ და იწყება ჭაბუკის „საზოგადოებრივი მოღვაწეობა“, ფაქტიურად დანაშაულებრივი, მორალურად უმართებულო, „გადასარევი ბიჭი“ კეთილი ხდება მამამისის მეოხებით და სახელმწიფოს ხარჯზე. მიზანი მიღწეულია. დაირხევა ხმები, რომ მავანისა და მავანის სიძემ, ან ვაჟიშვილმა „ბინა ჩაუწყო“ ძმაკაცს, სკოლის ამხანაგი სამინისტროში მოაწყობინა ხიდედრს, გამომცემლობაში წიგნის გამოცემის საქმე მოუწყო ძმაკაცის ძმას. ამხანაგმა დისერტაცია დაიცვა და „ხუთიათასიანი დისერტაცია იკისრა“. ერთი სიტყვით, ყოვლისშემძლე ხდება ჩვენი უმწიფარა, რომელიც სინამდვილეში პირადად მისი შეწუხების ხარჯზე რომ რაიმე იყოს საჭირო, თითს თითზე არ შემოკრავს, ერთ კრამიტს არ გაასწორებს ამხანაგის სახლის სახურავზე, რომელსაც სახლში წვიმა ჩაუდის, ერთ ღამეს არ გაუთევს ავადმყოფ ნათესავს, 10 გრამ სისხლს არ მისცემს ავარიაში მოხვედრილ მომაკვდავ ბავშვს, ამხანაგის მაგიერ ტყვიას მკერდს არ შეუშვერს, რადგან, სი

ნამდვილეში, ის არ არის კეთილი. მასში არ აღუზრდიათ ეს სათნოება. იმ „მიკროკლიმატში“, რომელშიც უმწიფარას უწევს ცხოვრება, ეს არც სჭირდება.

კარგი იქნება, რომ ამაზე დაფიქრდნენ ადამიანები, რომლებიც ასეთი კაცის ირგვლივ ტრიალებენ და ავრცელებენ ხმას მის კარგ ბიჭობაზე.

რედაქციაში არა ერთხელ გვიკამათია იმათთან, ვინც ამგვარ ახალგაზრდებს პრესტიჟს უქმნის.

აი, დაახლოებით ჩაწერილი დიალოგიც მათთან:

ისინი: ესა და ეს ბიჭი (ჩვეულებრივ — „ამისი სიძე“ ან „მისი შვილი“) ძალიან კარგი ბიჭია.

ჩვენ: რით არის კარგი?

ისინი: რას ლაპარაკობ, ძმაკაცისთვის თავს არ დაიშურებს. გაუჩენელს გააჩენს

ჩვენ: იმიტომ, რომ მას სჭირდება—თქვენ და სხვები კარგ კაცად თვლიდეთ და, რაც მთავარია, ხმას ავრცელებდეთ მის კარგ ბიჭობაზე. სხვა მას ყველაფერი აქვს — მანქანა, აგარაკი, სამეცნიერო ხარისხი, ფული. თანამდებობა. ეს კი აკლია და ისევე სჭირდება, როგორც ჩვენ გვჭირდება, ვთქვათ, ბინა ან სამსახური. აი, სულ ამაზეა აგებული მისი „უანგარო და თავდაუზოგავი“ მეგობრობა, რომელიც სინამდვილეში გახვრეტილ შაურადაც არა ღირს.

აი, ამ ფასით, საქმეების ჩაწყობით, მეგობრული ლხინითა და ქეიფით, ის თქვენგან ყიდულობს, რაც სჭირდება.

თქვენ? თითქოს არც თქვენ რჩებით წაგებული. მაგრამ სინდისი? თქვენ ხომ ყიდით, რისი გაყიდვაც ნამუსიან კაცს არ შვენის. ჰოდა, რაკი ლაქა თქვენს სინდისსაც დააჩნდა, რაღა დაგრჩენიათ, იმის გარდა, რომ ის „კეთილისმყოფელი“ აქოთ და ადიდოთ.

ასჯერ და ათასჯერ მართალი იყო კაცი, რომელმაც თქვა: „მითხარი, ვის მეგობრობ და გეტყვი, ვინა ხარო“.

მაგრამ ჩვენ ცოტათი გადავუხვიეთ სათქმელს. ვლაპარაკობდით პირად მაგალითზე და იმაზე, რომ აღზრდაში წვრილმანი არ არსებობს, რომ წვრილმანისაგან შედგება დიდი.

ერთხელ, ერთმა თანაკურსელმა, რომელიც დაწყებით კლასებს ასწავლის თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ღიმილით მიამბო:

„8 მარტს მესამეკლასელმა გოგონამ დღესასწაული მომილოცა და ისეთი სახით მომაწოდა შოკოლადი, რომ არ ამეღო, მგონი, ბავშვს ცრემლები გადმოსცვივდებოდა.

შოკოლადი იქვე ფანჯრის რაფაზე დავდე, გაკვეთილი დავიწყე და, მართალი გითხრა, დამავიწყდა კიდეც მისი არსებობა. გაკვეთილზე იმ ბავშვმა რაღაც იცელქა და დავტუქსე. აბა, თუ წარმოიდგენ, რა მიპასუხა: მასწავლებელო, აბა ის შოკოლადი ტყუილა მოგიტანეო?

მიაქციე ყურადღება, როგორ აზროვნებს ბავშვი? ესე იგი, მას შეგნებული აქვს: თუკი შენ უკანონოდ რაიმეს ჩაიდენ და ის ამ საქციელის თანამონაწილეა, უფლება აქვს მოგთხოვოს უკანონო შეღავათები. სხვათაშორის, ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო.

ან მეორე შემთხვევა: მოსწავლის მშობელმა რაღაც შეხვეული მოიტანა და ძალიან მთხოვა „პატარა სუვენირი“ მიმეღო.

მე ცივი უარით გავისტუმრე.

ბავშვი მთელი დღე რაღაც შეთქმულივით მიცინოდა. როგორც ჩანს, წინადღეს ოჯახში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მასწავლებელს საჩუქარს უმზადებდნენ და ბავშვმა აქედან თავისთვის სასარგებლო დასკვნა გააკეთა.

სასტიკად გავბრაზდი იმ მშობელზე და მასწავლებლებზე, რომლებიც მსგავს „სუვენირებს“ იღებენ. არ შეიძლება ბავშვმა ეს არ იცოდეს და მის სულში შხამიან ყვავილად არ გაიშალოს უფროსთა ამგვარი ქცევა“.

ჩვენ ხშირად ვერ ვაფასებთ ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს, იმ მუშაობას, რასაც პატარის ტვინი ასრულებს.

ერთხელ ჩემი ხუთი წლის გოგონა მეზობელს დავუტოვე და ვთხოვე ერთი თეფში წვნიანი ეჭმია. საღამოს ბავშვმაც და დიდმაც მითხრეს, რომ წვნიანი ნამდვილად შეჭმულია.

რამდენიმე ხნის შემდეგ მსგავსი შემთხვევა კიდევ განმეორდა. ამჯერად მეზობელმა სიცილით მიამბო, რაც მომხდარა:

თურმე პირველად ბავშვი გაჭირვეულდა და შეეხვეწა მას წვნის ნაწილი გადაეღვარა.

„ისე ტიროდა, შემეცოდა და დავუთმე. დღეს ისევ მომთხოვა ნახევარი წვნის გადაქცევა. მე უარი ვუთხარი. თუ იცი, რა მითხრა: „გადააქციე, თორემ დედას ვეტყვი, მაშინ რომ წვენი გადაღვარეო“.

მე ძალიან დიდხანს ვიფიქრე, როგორ აჯობებდა ამეხსნა ბავშვისთვის მისი საქციელის არაეთიკურობა ისე, რომ უფროსის (მეზობლის) ავტორიტეტი არ შემელახა.

ვფიქრობ, ვერც შევძელი, ბავშვის ლოგიკა ულმობელი და შეუვალი იყო. „აბა მაშინ რომ გადაღვარა?“

„მაშინ ხომ შენ შეეხვეწე, შეეცოდე თინა დეიდას.“

„მე ახლაც შევეხვეწე, ახლა არა ვარ ცოდვა?“ „კი, მაგრამ, დედა ხომ გაჯავრდებოდა?“ „ჩვენ არ გეტყოდით.“ „როგორ, დედას მოატყუებდით?“ „არა, კი არ მოვატყუებდით, არ გეტყოდით. მაშინ ხომ არ გითხარით, ჰოდა, არც გაჯავრდი და არც არაფერი.“

ასე გრძელდებოდა მხარეთა კამათი იმ დრომდე, ვიდრე, ჩემის აზრით, ბავშვს არ შევეცოდე და არ შემპირდა, მეტს აღარ ვიზამო. ლოყაზე მაკოცა და დარწმუნებული, რომ ინციდენტი კარგად და მშვიდობიანად მოგვარდა, თოჯინებთან გაიქცა.

... ბავშვები ქვეყნის მომავალია, გარკვეულ დრომდე ჩვენს ხელთაა ამ მომავლისათვის სახის მიცემა.

ჩვენს ხელთაა-მეთქი ვამბობ, მაგრამ აკი მოგახსენებთ, აქ მარტო კარგი მოქალაქის აღზრდის სურვილი არ კმარა. სურვილი ჰარმონიულად უნდა იყოს შეხამებული მშობლის საქციელთან, მთელს მის მორალურ სახესთან.

ჩვენ კომუნისტურ საზოგადოებას ვაშენებთ. ამ მშენებლობაში კარგი კომპასი გვიპყრია ხელთ — პარტიის პროგრამა. მასში კი შავით თეთრზე წერია: „თითოეული ადამიანის ყოფაქცევაში... კომუნისტური იდეები ორგანულად უნდა იყოს შეხამებული კომუნისტურ საქმეებთან.“

ვისარგებლოთ ამ კომპასით. ის სწორ გეზს გვკარნახობს.

ნარგიზა მგელაძე

ლევან მილორავა

# მოამაგე

ალბათ, ყველას გინახავთ
მოფარფატე პეპელა, —
ლბილი, ნაზი, სათუთი,
ფრთებს რომ იქნევს ნელნელა.
დილით აისს აასწრებს.
მზის პირველ სხივს გვახარებს,
დაურიგებს ზეცის მადლს
დიდებსა თუ პატარებს.
მოიკითხავს დეკას და
ია-იას, ღიღილოს...
— ღვია შეუძლოდ არის?
დღეს არ ადგეს, იძინოს!
— თქვენ კი ჭრელა-ჭრულებო,
თავი მაღლა ასწიეთ,
სიმღერის და მოლხენის
თამადობა გასწიეთ...
— არ შეგშვენით მალხაზებს
დგომა აქ გარინდებით,
თქვენს გალობას ელიან
მშობლიური მინდვრები.
— ვინძლო გარს შემოევლოთ
მამულს გამძლე არშიად, —
გადარჩენის სიკეთე
მხოლოდ ერთობაშია.
მოსპეთ, შანთით ამოწვით
შური, მტრობა, სისინი,
მტერს გულს ლახვრად დაასვით
თქვენი ლაღი სიცილი.
— ერთმა წაიფორხილოს?
მიეშველეთ ყველანი,
მოყვასთათვის მზად გყავდეთ
შეკაზმული მერანი.
თუ მამულის სიმტკიცეს
სენმა ხელი დარია,
მიზეზს სხვაგან ნუ ეძებთ,
იქნებ, თქვენი ბრალია-..
სიყვარული დაუდეთ
მამულს ბურჯად, საფუძვლად,
ამით დაადუღაბებთ
მამა-პაპის ნაფუძარს!..
...ასე ზრუნვა-ამაგში
მწუხრის ჟამიც დადგება,
და ერთი დღის სიცოცხლე
წამწამს შუა გადნება...
დაიღვრება ცრემლებად
მტკვარი-არაგვ-იორი:
— რად ეძლევა პეპელას
ხანი ასე ფიორი?!
ყვავილნარი უყვარსო! —
ყველას გაგვიგონია.
ამ პაწაწა პეპელას
ეს რა გული ჰქონია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდ-ქალაქის ახალი უბანი

1970 წლიდან სოფელ გლდანის შესასვლელში ექსკავატორებისა და ბულდოზერების მთელი არმია გაჩნდა. ახმაურდა, სიცოცხლით აივსო თვალუწვდენელი მინდორი. ერთ წელიწადში გლდანელთა საყანეების ადგილზე ცხრასართულიანი შენობების კვარტალი წამოიმართა, სადაც ათასობით ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა.

დღეს, არა თუ ცხრება მუშაობის ტემპი, სულ უფრო ძლიერდება, კორპუსს კორპუსი ემატება, ერთი მიკრორაიონის დამთავრებას მეორის დაწყება მოსდევს.

როგორი იქნება გლდანის დასახლების მომავალი სახე? ამ საკითხის გასარკვევად ვესტუმრეთ „ქალაქპროექტის" მთავარ არქიტექტორს შოთა ყავლაშვილს. მის სამუშაო ოთახში ვნახეთ გლდანის საცხოვრებელი რაიონის დეტალური დაგეგმარების პროექტი და მაკეტი. აქვე შევხვდით გლდანის საცხოვრებელი რაიონის განაშენიანების პროექტის ავტორს თემურ ბოჭორიშვილს, რომელსაც ვთხოვეთ მოეთხრო ამ უბნის მომავალზე.

— ასეთი უბანი, როგორიც გლდანის დასახლებაა, — თქვა თ. ბოჭორიშვილმა, — საბჭოთა კავშირში პირველი ცდაა. ეს იქნება უნიკალური რაიონი თავისი არქიტექტურული დაგეგმარებით და პროექტის თავისებურებით.

გლდანის მასივში 9 მიკრორაიონი აშენდება. თითოეულ მიკრორაიონს ექნება თავისი პირველადი მომსახურების ბლოკები: მაღაზიები, საექსპლოატაციო კანტორები და სხვა დაწესებულებები.

ცხრავე მიკრორაიონი განლაგებულია რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო მაგისტრალზე. სატრანსპორტო გზები მიწის ზედაპირიდან სამი-ოთხი მეტრის სიღრმეზე იქნება, ტრანსპორტით სარგებლობისათვის მგზავრს მოუხდება კიბეებით ჩასვლა დაბლა.

ცენტრალური მაგისტრალური სატრანსპორტო ხაზი უკიდურესი კორპუსიდან არა უმეტეს 500 მეტრით იქნება დაშორებული, რის გამოც ყოველი მოქალაქე დილით ფეხით გაივლის ამ მანძილს და მისდაუნებურად შეასრულებს ჯანმრთელობისათვის სავალდებულო ნორმას.

ყოველი კორპუსი ერთმანეთს დაუკავშირდება როგორც საავტომობილო მისასვლელი გზებით, ისე ფეხით მავალთათვის განკუთვნილი ხეივნებით. ამ ხეივნებში მოთავსდება პირველადი მომსახურების ბლოკები. ხეივნების ბოლოს, სატრანსპორტო მაგისტრალის სათავესთან იქნება ფეხითმავალთათვის განკუთვნილი გადასასვლელი ხიდები, რომლებითაც ისინი დაუკავშირდებიან რაიონული მნიშვნელობის მომსახურე ობიექტებს.

რაიონული მაგისტრალი შედგება ცალმხრივი მოძრაობის სატრანსპორტო გზებისაგან, რომელთა შორის ასმეტრიანი ზოლი დათმობილი აქვს რაიონის სხვადასხვა მომსახურების დაწესებულებებს: მაღაზიებს, კეთილმომსახურების ობიექტებს, საპარიკმახეროებს, კინოთეატრებს, კლუბებს, ამბულატორიას, ადმინისტრაციულ შენობებს.

თითოეულ მიკროუბანში იქნება საბავშვო ბაღი, ხოლო სკოლები განლაგდება რაიონის გარშემო გაშენებულ მწვანე ზოლში. სკოლები აიგება კონტინგენტის გათვალისწინებით, საცხოვრებელ კვარტალებში მოეწყობა მყუდრო დასასვენებელი ადგილები, სათამაშო, სპორტული და ბავშვთა მოედნები, რაიონის დასაწყისში მოეწყობა რაიონული პარკი და სპორტული კომპლექსი. ხოლო ბოლოში — დიდ ტბასთან გაშენდება საქალაქო პარკი, შესანიშნავი ბუნებრივი პირობებით.

გლდანის რაიონში 140-ათასამდე თბილისელი იცხოვრებს, ამჟამად კი მხოლოდ 20 ათასამდე მოსახლეა.

პროექტის მიხედვით, დღევანდელი სოფელ გლდანის მთელს ტერიტორიას გაუკეთდება რეკონსტრუქცია, ხოლო მის სახნავ მიწებზე კი წამოიმართება ცხრა და თექვსმეტსართულიანი შენობები. რაიონულ მაგისტრალზე ივლის ტროლეიბუსი და ავტობუსი.

1973 წლის გეგმაშია მეორე „ა" მიკრორაიონის მშენებლობის დაწყება, ამჟამად მიმდინარეობს „მეგობრობის" კვარტალის საწყისი სამუშაოები, ამ კვარტალს აშენებენ ტაშკენტის, კიევის, მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, ბაქოს და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. მათ ხომ მეგობრობის ხელი გამოგვიწოდეს, შეგვპირდნენ წყალდიდობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას. ისინი საკუთარი პროექტებით გააშენებენ ამ კვარტალს და საინტერესო და განსაკუთრებულ იერს მისცემენ მას.

დოდო დონაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საინტერესო საბუთი

საყურადღებო ექსპონატებია გამოფენილი ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბჭოთა პერიოდის განყოფილებაში. ისინი ჩვენს თვალწინ აღადგენენ წარსულის სურათებს, იმ თაობის ცხოვრებას, რომელიც მუშურ-გლეხური სამშობლოს წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად იხდიდა. ამ ექსპონატებს შორის აღსანიშნავია უნიკალური საბუთი, პირველი ჯილდო — სიგელი, რომელიც 1922 წლის თებერვალში არის გაცემული სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მიერ. საბუთს ხელს აწერენ სამხედრო რევოლუციური საბჭოს ხელმძღვანელები: სერგო ორჯონიკიძე, ალექსანდრე მიასნიკოვი და სხვები.

ასეთი სიგელი საქართველოში რამოდენიმე გაიცა. ერთ-ერთი მათგანი ინახება ჩვენს მუზეუმში. საინტერესოა მისი ისტორია. ეს ჯილდო დაიმსახურა 18 წლის გოგონამ — ევგენია ვლადიმერის ასულმა ტრილეცკაიამ. იგი უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას მოეწყო მდივან-მემანქანედ სამხედრო-საინჟინრო სამმართველოში.

მძიმე წელი იდგა. ქვეყნის მეურნეობა მოშლილი იყო. არ ჰქონდათ საკვები სამხედრო ცხენებისათვის. დამშეული ცხოველები ღრღნიდნენ ხეს, იატაკს, იხოცებოდნენ შიმშილისაგან. მენშევიკებმა ემიგრაციის წინ გადაწვეს თივის ზვინები, რათა ხელში არ ჩაეგდოთ ბოლშევიკებს. მოსახლეობის ნაწილი უნდობლად უყურებდა წითელ არმიას და არ უწვდიდა დახმარების ხელს. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, რათა გადაერჩინათ ცხენები გაწყვეტისაგან.

სწორედ ამ დროს ჟენიას, როგორც ქართული ენის მცოდნეს, ადგილობრივ პირობებში გარკვეულს, მისცეს დავალება: გაჰყოლოდა მეგზურად ოფიცერს (ეროვნებით ლატვიელს), გასულიყვნენ ქალაქგარეთ, მოეძებნათ გლეხები, რომლებიც დათანხმდებოდნენ თივის მიყიდვას. ჟენიას ჩააცვეს ჯარისკაცის მაზარა, მისცეს რევოლვერი (რომლის ხელში დაჭერაც კი არ იცოდა) და სამი ტომარა ბონი, რომლითაც უნდა შეეძინათ თივა. გოგონა ჩასვეს ეტლში, კოფოზე კი ოფიცერი დაჯდა და გაუდგნენ გზას.

ორი თვე დაკარგულები იყვნენ, საშინელი დღეები გამოიარეს, თბილისიდან ჯერ ვაზიანში ჩავიდნენ, სადაც არამც თუ თივა, ერთი სახლიც არ დახვედრიათ. აქედან მარიონფელდში მოხვდნენ, სადაც გერმანელი კოლონისტები ცხოვრობდნენ. მაგრამ ვერც აქ იშოვეს თივა. მარიონფელდიდან იწყებოდა ე. წ. „სამხედრო ტრაქტი". გზა, რომელიც მიდიოდა თივის დამამზადებელ პუნქტამდე, სადაც შეიძლება მენშევიკებისაგან გადარჩენილი თივა ყოფილიყო. დაადგნენ ამ ფათერაკიან გზას. ძლივს გადაურჩნენ ჯერ ძაღლებს, შემდეგ შეიარაღებულ ბანდიტებს, რომლებიც მოხერხებულად მოიშორა ოფიცერმა, უთხრა, ეტლში ტიფიანი ჯარისკაცი წევს და სოფელში მიმყავს მშობლებთანო. შეშინებული ბანდიტები სასწრაფოდ გაეცალნენ ეტლს, სადაც მშვენიერი გოგონა და სამი ტომარა ფული იყო. გზაზე შიმშილისაგან წაიქცა ცხენი, რომელმაც კინაღამ გადატეხა ხელნა, ეს კი სამუდამოდ იქ ჩარჩენას ნიშნავდა. ჟენია და ოფიცერი შეუდგნენ ხელნას, ძლივს წამოაყენეს ცხენები. გაჭირვებით დაძლიეს ასევე სხვა დაბრკოლებებიც: შიში, შიმშილი, სიცივე, ჟენიას მოეყინა ფეხები (შემდეგ იგი შვიდი წელი მოუნდა მათ განკურნებას). ასე დიდი წვალებით მივიდნენ ბორჩალოს რაიონის სოფელ მალხაზოვკაში. აქ, როგორც იქნა, ნახეს გლეხები, რომლებიც დათანხმდნენ თივის მიყიდვას. მოიხიბლნენ მით, რომ დიდ თანხას იქვე აძლევდნენ და პირდებოდნენ დანარჩენი ფულის მიცემას თივის ადგილზე ჩატანისას. ასე გადმოატანინეს გლეხებს საკმაო რაოდენობის თივა, გამოაგზავნეს უკანასკნელი ურემი და მხოლოდ ამის შემდეგ წამოვიდნენ ქალაქისაკენ. მართალია, საფრთხეში იყო მათი სიცოცხლე, მაგრამ სულიერმა სიმტკიცემ, უმწიკვლო მეგობრობამ ყველაფერი გადალახა და სამხედრო დავალება პირნათლად იქნა შესრულებული.

ეს მოხდა 1921 წლის ნოემბერ-დეკემბერში. თბილისში აღარ ელოდნენ ჟენიას არც მშობლები და არც საქმრო. იგი დაღუპული ეგონათ. 1922 წლის თებერვალში „მშრომელთა მონობისაგან განთავისუფლებისათვის და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის გმირული ბრძოლის სამი წლისთავის აღსანიშნავად ევგენია ვლადიმერის ასულ ტრილეცკაიას გადაეცა ზემოხსენებული სიგელი, როგორც მუშურ-გლეხური სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის შესრულების სიმბოლო (გარდა ამისა აჩუქეს ჯარისკაცის მაზარა და ჩექმები). ორიოდე თვის შემდეგ იგი გათხოვდა. მისი მეგობარი ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა. იგი იყო ჩვენი რესპუბლიკის საბიბლიოთეკო საქმის თვალსაჩინო მოღვაწე დიმიტრი მარკევიჩი. მათ შექმნეს შესანიშნავი ოჯახი. აღზარდეს ორი სასახელო ვაჟი. მათი უფროსი შვილი იური ნიჭიერი, წესიერი ახალგაზრდა, ფრიადოსანი მოსწავლე, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე წავიდა დიდ სამამულო ომში, დაიღუპა 1945 წლის თებერვალში. დაკრძალულია ძმათა სასაფლაოზე ქ. ლოძში, თავისი წინაპრების, პოლონელების მიწაზე.

იურის დედა, მეტად მოკრძალებული და სანდომიანი მანდილოსანი, ჩვენი მუზეუმის ხშირი სტუმარია. იგი განსაკუთრებით ხშირადაა მუზეუმის ფილიალში, სადაც მოწყობილია გამოფენა თემაზე — „თბილისი და თბილისელები დიდ სამამულო ომში". აქ გამოფენილია იურის ფოტოსურათი. დედას ცოცხალი ყვავილები მიაქვს მასთან. თავისი ახალგაზრდობის მოსაგონარი ეს სიგელიც მან გადასცა მუზეუმს დაღუპული შვილის პატივსაცემად და იმ გულთბილი დამოკიდებულების აღსანიშნავად, რომელიც არსებობს მუზეუმის მუშაკებსა და სამამულო ომის მონაწილეთა ახლობლებს შორის.

**ლამარა ნებიერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დეიდა დუშა

იმ ქარიშხლიან წლებში, როცა საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ენგურისპირა სოფელ ლიაშიც ენთო ბრძოლის ცეცხლი. ბოლშევიკებს გადამწყვეტი იერიში მიჰქონდათ მენშევიკების წინააღმდეგ. დუშა სამუშია-მამფორიას მშობლების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ბოლშევიკები — ლიის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ანტონ სამუშია, რაიკომის მდივანი ავქსენტი მამულია, დუშას სიძე იოსებ კვარაცხელია და სხვები.

ერთხელ ავქსენტი მამულიამ პატარა დუშას საიდუმლოდ უთხრა:

— შეიძლება ახლო ხანში მენშევიკების რაზმი თავს დაგვესხას და ტყეში გახიზვნა მოგვიხდეს. სწორედ მაშინ დაგვჭირდება შენი დახმარება, ოღონდ იცოდე, არსად არაფერი წამოგცდეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მენშევიკები მართლაც თავს დაესხნენ ბოლშევიკებს, მათი უმრავლესობა და მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკლესიაში ჩაკეტეს.

მენშევიკების ავაზაკური საქციელით აღშფოთებულმა მამულიამ მაუზერით რამდენიმე მენშევიკს ბოლო მოუღო, მერე შეამტვრია ეკლესიის კარი, გაათავისუფლა დაპატიმრებული ადამიანები და თვითონ ტყეში გაიხიზნა.

იმ დღის შემდეგ დუშა და მისი მეგობარი ქსენია სამუშია ტყეში გახიზნული ბოლშევიკების მეკავშირენი და ხელისშემწყობნი გახდნენ. მათი დავალებით გადაჰქონდათ საიდუმლო ქაღალდები და ტყვია-წამალი. მეთერთმეტე არმიის ნაწილები მეზობელ სოფელში — ფახულანში რომ შევიდნენ, დუშამ დაუყოვნებლივ დააკავშირა ერთმანეთთან ლიელი და ფახულანელი ბოლშევიკები.

რამდენიმე დღის შემდეგ დუშა წითელი დროშით ხელში წინ მიუძღოდა გამარჯვებულ კომუნისტებს. ერთმა რუსმა წითელარმიელმა ხელში აიტაცა წითელკაბიანი გოგონა და უთხრა: „შენ თვითონა ხარ, ჩვენი დროშაო".

13 წლის იყო დუშა, კომკავშირში რომ მიიღეს. 1927 წელს დაამთავრა სოფელ ხაბუმის ცხრაწლედი და რამდენიმე წლის შემდეგ მასწავლებლობა დაიწყო მშობლიურ სოფელში. მან არაერთ თანასოფლელს შეასწავლა წერა-კითხვა. ლიაში დღესაც ბევრი იხსენიებს დუშას, როგორც თავის მასწავლებელს.

ის ან სკოლაში იყო, ან თანასოფლელებს ესაუბრებოდა კოლექტივიზაციის საკითხებზე, ან ჩაის პლანტაციაში მუშაობდა. მაშინ ცოტანი როდი იყვნენ ისეთები, რომლებიც აშკარად ხელს უშლიდნენ საკოლმეურნეო საქმიანობას, კერძოდ — ჩაის გაშენებას. სოფლის ბობოლებთან და კულაკებთან ბრძოლაში დუშას არასოდეს დაუხევია უკან. 1932-34 წლებში იგი მუშაობდა ჩხოროწყუში ქალთა რაიონული განყოფილების გამგედ, იმავე წლებში აირჩიეს კომკავშირის რაიკომის პლენუმისა და ბიუროს წევრად, შემდეგ — ჩხოროწყუს სასოფლო საბჭოს დეპუტატად. 1934-42 წლებში დუშა იმყოფებოდა საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში პასუხსაგებ სამუშაოებზე. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი. 1947 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში; ამჟამად ითვლება მეცხოველეობის კათედრის უფროს ლაბორანტად. ინსტიტუტში სხვადასხვა დროს დუშა იყო პარტბიუროს მდივნის მოადგილე, ამხანაგური სასამართლოს წევრი, მეცნიერების მიღწევათა დანერგვის ბიუროს მდივანი. ახლა იგი აგრონომიული ფაკულტეტის სახალხო კონტროლის წევრია.

სოფელ ლიის ბევრი ახალგაზრდა დუშა დეიდას სახლშია გაზრდილი. ვის არ ნახავთ მათ შორის: ფილოსოფოსს თუ აგრონომს, ჟურნალისტს თუ ექიმს, პედაგოგს თუ სტუდენტს; დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, — ყველა „დეიდა დუშას" ეძახის ამ ამაგდარ ქალს.

განსაკუთრებული მზრუნველობით გამოზარდა დუშამ თავისი ობოლი დისშვილი — ნინო კვარაცხელია. ბავშვობიდანვე ჩაუნერგა სამშობლოს, ხალხისა და საერთო საქმის სიყვარული, შეხაროდა დეიდა დუშა თავის სასახელო გაზრდილს, მაგრამ მალე მწუხარებით შეეცვალა ეს სიხარული. სრულიად ახალგაზრდა ქალი, ნინო კვარაცხელია პარტიის წალენჯიხის რაიკომის მდივნის სამუშაო პოსტზე გარდაიცვალა.

ფარხმალი არ დაუყრია სვეგამწარებულ, მაგრამ ბრძოლაში ნაწრთობ დუშას: ისევ განაგრძობს მუშაობას. ისევ არ ივიწყებენ მისი გაზრდილები.

ლია ბარბაქაძე

# სუფრა,

ადამიანის ნორმალური ცხოვრებისათვის წესიერ ლხინსა და დროსტარებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლა, რა ჯობს, უჭდე ნუგბარი საჭმელებით გაწყობილ მაგიდას, სახურველ მეგობართა და საყვარელ ნათესავთა წრეში, მაგრამ, ვაი, რომ სიამოვნებას მალე ეკვეცება ფრთები, როდესაც თამადა ძალაუფლებას ხელთ აიღებს და მკაცრ დიქტატორულ რეჟიმს დაამყარებს. იმ წუთიდან სუფრის მიზანი მხოლოდ დალევა ხდება. ეს კეთილი ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის სიყვარულით შეკრებილან, რატომღაც შეიცვლებიან და მხოლოდ იმის ცდაში არიან, როგორმე დაუთრობელი არავინ დარჩეს.

მართალია, ზოგიერთს ყოფნის გამბედაობა: მორცხვად წამოდგება და თამადას თხოვს განთავისუფლებას, მაგრამ ამაოდ.

— როგორ! — იქუხებს თამადა, მას სიტყვას აღარ დააცლიან და სხვებიც ახმაურდებიან.

— ჩვენ რა, თავი მოძულებული გვაქვს? ღვინის სმა ვის ეხალისება, მაგრამ ოჯახს პატივი უნდა ვცეთ!

— არავითარი შეღავათი! — განაცხადებს ავტორიტეტული ტონით მასპინძელი, — თავი არ მომჭრათ და უღვინოდ არავინ დარჩეს.

რაღა უნდა ქნას იმ საბრალომ, დასეტყვილი დაჯდება, მოიძულებს თავს და დალევს, ანდა „მოპარვას" დაიწყებს, მერე შენიშნავს ვინმე და, შეიძლება, ჩხუბიც ატყდეს.

ზოგი ჯიბით წაღებულ წამლებსაც მოიშველიებს, დიაგნოზებსაც ჩამოთვლის, მაგრამ ტყუილად ირჯება, დალევა თითქოს ფატალური გარდუვალობაა, არავინ არ უჯერებს. დაძალების უხამსი პროცედურა, შეზავებული უკბილო კალამბურებითა და წამქეზებელი შორისდებულებით, დაუსრულებლივ გრძელდება. საოცარი ის არის, რომ სმის მოსურნე შეიძლება „ქართული ტრადიციებით" შენიღბული ორიოდე ლოთი აღმოჩნდეს, სინამდვილეში დაძალების მახინჯი ჩვეულებით უმრავლესობა შეწუხებულია.

...მეორე დღეს ისევ ხვდება ნაქეიფარი ხალხი ერთმანეთს. დაწვრილებით გაარჩევენ სმის „შედეგებს" და საბოლოოდ ერთ დასკვნამდე მიდიან:

— არ უნდა ვსვამდეთ ამდენს!

— ჰო, არ უნდა ვსვამდეთ, მაგრამ ასე მოგვდგამს მამა-პაპიდან და რა ვქნათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალხინოდ გაშლილო

დიახ, ეს სიტყვები ყველას გვსმენია, ურთიერთ პატივსაცემად გაწყობილი მაგიდა უაზრო ღრეობად რომ იქცევა, ამას ბევრი ჩვენგანი ქართული ტრადიციებით ხსნის. მაგრამ ეს მცდარი აზრია. და მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ ამაზე.

საუკუნეთა მანძილზე ჩვენმა ერმა სუფრის შესანიშნავი წესები გამოიმუშავა. ქართული ქორწილი, მიცვალებულის რიგი უაღრესად შინაარსიანი და შთამაგონებელი სანახაობებია. როცა ამ წმინდა ჩვეულებებს „უცხო ღვარძლი" შეერეოდა, ქართველი საზოგადოებრიობა მაშინვე შენიშნავდა და შანთით ამოსწვავდა მას. — ამის არაერთი მაგალითი ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში და განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ლიტერატურაში გვაქვს. ქართულ ჩვეულებათა სიწმინდეს ფხიზლად დარაჯობდნენ თვით დიდი ილია, აკაკი და სხვანი.

ქართული მაგიდა არასდროს არ ყოფილა ოვითმიზნური ლოთობის ასპარეზი. ის ყოველთვის თავშესაქცევი და აზრიანი გართობის ადგილი იყო. უამრავი სუფრული სიმღერები, ნაირნაირი ცეკვები მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა. რაც შეეხება ღვინის სმას, სმაც იცოდნენ. იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ სამეგრელოზე დაწერილ წიგნში მოგვითხრო ცნობილი მსმელის — შედან ჭილაძის ამბავი. ამ ქართველ თავადს უძლეველი მობახუსის სახელი ჰქონდა გავარდნილი და თვით სპარსეთის შაჰიც იწვევდა ნადიმებზე. ამიტომაც უმღერა მას და გულბაათ ჭავჭავაძეს ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ლადო ასათიანმა.

ახლაც ცოცხლობს ხალხში თქმულება ერთ რაჭველ გლეხზე, რომელმაც ხიდიკარში, როსტომ ერისთავის საბაჟოსთან, ღვინით სავსე კოკა „უსულთქმია" გამოსცალა.

ერთი უცხოელი მოგზაური გაოცებული წერს: ქართველები ბევრს სვამენ და არ თვრებიანო. ამ სიტყვებში კარგად მჟღავნდება ქართული სუფრის არსი. ხალხი საქეიფოდ მაგიდასთან სხვადასხვა მიზნით მიდიოდა, ზოგს სმა ეწადა, ზოგს ლხინი და დროსტარება, ზოგს ბრძნული სჯა-ბაასი, იყო ისეთიც, ვინც მხოლოდ სხვისი ცქერით ტკბებოდა. რაც მთავარია, ყველა ადამიანის სურვილი ყოველთვის ანგარიშგაწეული და გათვალისწინებული იყო.

მსმელები ჩვეულებრივ ერთად სხდებოდნენ. ამათგან თუ რომელიმეს არ სურდა დაელია, მაშინვე უნდა განეცხადებინა, ის თავისუფალი იყო და არავინ არ აძალებდა, ოღონდ ბოლოს არ უნდა გამოეღო ხელი და თავის დროზე მოეფიქრებინა ადგომა.

სმის მოსურნენი სვამდნენ, ოღონდ აქაც იყო საზღვარი, მაგიდის ქვეშ წაქცევა, უთავბოლო ბოდიალი დიდ სირცხვილად ითვლებოდა, ვინც ბევრს დალევდა, კარგადაც უნდა აეტანა და შინ გრძნობაზე მყოფი წასულიყო. ვისაც თავის იმედი არ ჰქონდა, დალევას დაულევლობას ამჯობინებდა. სმაზე უარის თქმა სამარცხვინო როდი იყო. უარი გადიოდა. ახლა კი, თქვენც არ მომიკვდეთ, „ტრადიციების დამცველი" ვაჟბატონები დაძალებით ახრჩობენ ადამიანს. მასპინძელსაც რატომღაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი — თუ სტუმარი არ დათვრა, პატივნაცემი ვერ იქნებაო, თან თუ დაუსრულებლივ არ აძალებს და არ ეპატიჟება, ჰგონია, ძუნწად ჩათვლის ვინმე.

ძნელი დასადგენია, ეს ყალბი წარმოდგენანი როდის შემოიჭრა ჩვენს შეგნებაში, მაგრამ ამჟამად რომ უარსაყოფია, ეს უეჭველია. საქართველოს ზოგიერთი კუთხე ამ საქმეში ხომ დღემდე ინარჩუნებს ზომიერებას და რატომ მათ არ ვბაძავთ, რატომ მაინცდამაინც მავნე ტრადიციას ვუკაფავთ გზას?!

სამწუხაროდ, ჩვენი სუფრა, უგემოვნების ნიმუშად იქცა, იქ იმდენი საჭმელ-სასმელია დახვავებული, ჭამის მადა ეკარგება კაცს. გულუხვობას და ხარჯსაც ხომ თავისი საზღვარი აქვს! რატომ არის რომ ათი კაცისათვის გაწყობილი მაგიდა ფაქტიურად ოცდაათ კაცსაც ეყოფა? აქაც საჭიროა დალოცვილი ზომიერება, თავისებური ტაქტი, რასაც ხშირად თავის გამოჩენის ამაო ცდუნებას ანაცვალებენ ხოლმე.

ბოლო წლებში სუფრაზე რატომღაც დამკვიდრდა ჩაის ჭიქა, ღვინის ჭიქამ კი საარაყე სასმისად გადაინაცვლა. რატომ მოხდა ეს? პასუხი არა ჩანს. ისე კი ყველანი სინანულნარევი სიამოვნებით იგონებენ იმ მადლიან დროს, როცა ღვინის ჭიქა თავის უფლებებში იყო.

ძველად მრავალფეროვანი სასმისები ჰქონდათ. სოფლებში ადგილ-ადგილ ახლაც შეხვდებით კულას, კათხას, კვატუშს, აზარფეშას... ზოგიერთ ოჯახში ინახება ირმის რქებზე ასხმული ყანწების საუცხოო კრებული, უმცირესიდან — უდიდესამდე. ყველას ამათ ჰქონდა სალაღობო დანიშნულება. სასმისთა მრავალფეროვნება სმას თავშესაქცევ ხასიათს აძლევდა. ახლა კი „სტანდარტულ" ჩაის ჭიქას ლუდის ორთომელი მოჰყვება, მერე ორ-სამლიტრიან ყანწებსაც გააჩენენ. უწინაც იყო დიდი სასმისები, მართლაც, გასაოცრად დიდი: ოთხ-ხუთლიტრიანი ჯიხვები, რვა-ათლიტრიანი სარიოშები, მაგრამ მათ ერთეულები სვამდნენ საკუთარი სურვილით.

ქართული ტრადიციული სუფრის მიზანი უაზრობამდე სმა და ლოთობა არასდროს არ ყოფილა. სუფრა სიამოვნების ადგილი იყო, პიროვნებათა სურვილებისა და მისწრაფებათა გათვალისწინებით.

— „სუფრავ, სალხინოდ გაშლილო"... — მღეროდა ხალხი. ნადიმი ყველას ახარებდა დიდს თუ პატარას, მსმელს თუ არამსმელს. ახლა კი ბევრია ჩვენს შორის ისეთი, რომელსაც მიპატიჟება შესძულებია, იმიტომ, რომ წინასწარ იცის, რა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ნუთუ დრო აღარ დადგა, დავუბრუნოთ ქართულ სუფრას ჩვეული ეშხი და სილამაზე? დაე, მოქეიფემ იქეიფოს, მომღერალმა იმღეროს, ვისაც არც ერთი შეუძლია და არც მეორე, მაცდურად მომარჯვებული „ტრადიციულობით", მკვეხარა და ავყია „ვაჟკაცობით" ნუ შევაწუხებთ, ნუ გავაწვალებთ.

ღვინო ძვირფასი პროდუქტია, მას უხსოვარი დროიდან ქართველი ხალხი საკვებად იყენებდა, ისევე როგორც პურს. „პურ-ღვინო" „პურ-მარილის" სინონიმი იყო ოდითგანვე. ღვინის ფასი მისმა მომყვანმა ახლაც იცის და უზომოდ არასდროს არ სვამს. ვინც ვაზის მოვლით არ დაღლილა, უფრო ხშირად ის იყენებს ამ კურთხეულ სასმელს გადაჭარბებით. რა ენაღვლება, ოფლი ულვრია თუ შრომით ხელები დაჰკოჟრებია? ხალხს კი უთქვამს:

ბერიკაცი თვრესო,
ჭაბუკს ცოტა ხვდესო,
ყმაწვილს სუნი მიედინოს,
ღმერთს თაყვანი სცესო.

და სამართლიანადაც უთქვამს: ღვინო ყველას როდი დაელევინება!

ლევან ფრუიძე

# როგორ მოვაწყოთ ტალანი?











ტალანი ის სათავსოა, რომლითაც საცხოვრებელი ოთახები კიბის ბაქანს უკავშირდება. ტალანიდან იწყება საცხოვრებელი ბინა, აქედან ექმნება მომსვლელს შთაბეჭდილება, წარმოდგენა ბინის ავკარგიანობის შესახებ.

ტალანი ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია ბინისა. ერთი მხრივ, იგი იცავს სიცხის, სიცივისა და ხმაურისაგან, ხოლო მეორეს მხრივ ზედა ტანსაცმლისა თუზოგიერთი საოჯახო ნივთის შესანახი ადგილია. ტალანის მოწყობილობა განისაზღვრება მისი დანიშნულებით, ხოლო მისი ზომა-გაბარიტები დამოკიდებულია როგორც ოთახების რაოდენობასა და მათ განაწილებაზე, ასევე ტალანის მოსაწყობი ნივთებისა და ავეჯის ზომებზე.

ტალანის სიგანე სასურველია არა ნაკლებ 120 სმ იყოს, რადგან გაბარიტების სიმცირე ძალზე აძნელებს საოჯახო ნივთებისა თუ ავეჯის ისეთნაირ განლაგებას, რომ ტალანმა თავისი ფუნქციებიც შეასრულოს და ესთეტიკურადაც გამოიყურებოდეს. ამ სიძნელეების თავიდან ასაცილებლად ხშირად მიმართავენ ჩაშენებული ან მიშენებული კარადების მოწყობას, რაც ტალანის მცირე ფართის რაციონალურად გამოყენების საშუალებას იძლევა.

იმისათვის, რომ ხელსაყრელად განვალაგოთ ტანსაცმლის საკიდი, სარკე, საოჯახო ნივთების შესანახი კარადა და ფეხსაცმლის შესანახი ყუთი ან თარო, უნდა ვიცოდეთ მათი ზომები, ეს კი ოჯახის წევრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ ბინაში 1-2 კაცი ცხოვრობს, ტანსაცმლის საკიდის სიგანე უნდა იყოს არა უმეტეს 50 სმ. 3-4-კაციანი ოჯახისათვის — 90 სმ. ხოლო 5-6 სულზე — 120 სმ. თუ ტალანში ჩაშენებულ ან მიშენებულ კარადას გავაკეთებთ, ტანსაცმლის საკიდის სიგანე შესაბამისად შემცირდება. ასევე ოჯახის წევრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული ფეხსაცმლის შესანახი ყუთისა და თაროების გაბარიტები.

თუ ტალანის ან კორიდორის სიმაღლე ორნახევარ მეტრს აღემატება, იქ შეიძლება მოეწყოს ანტრესოლური კარადები საოჯახო ნივთებისა და სხვა პერიოდულად საჭირო ხელსაწყოების შესანახად. ტალანთან და ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანშიც, თუ ამის საშუალებას იძლევა ტალანის გაბარიტები, ხშირ შემთხვევაში აწყობენ საოჯახო საკუჭნაოს.

ტალანის ესთეტიკური და მხატვრული მხარე დიდადაა დამოკიდებული მასალის შერჩევაზე, მის ფერზე, სახეობაზე და, ბოლოს, სამუშაოს შესრულების ხარისხზე.

სანამ სამუშაოს შეუდგებოდეთ, თქვენთვის სასურველი ტალანის ესკიზი შეადგინეთ. შემდეგ ამ ესკიზის მიხედვით შეარჩიეთ საჭირო მასალები. ნუ ეცდებით მიბაძოთ სხვას. ისე მოაწყვეთ თქვენი კუთხე, როგორც თქვენს ხასიათს, საქმიანობასა და ოჯახურ მდგომარეობას შეეფერება. მოხერხებულად გააწყვეთ ნივთები ისე, რომ იგრძნობოდეს — ისინი თქვენ უნდა გემსახურონ. ნივთები, უმჯობესია, დააჯგუფოთ დანიშნულების მიხედვით, მაგრამ სანამ ამას გააკეთებდეთ, სასურველია, პირველ რიგში წეს. რიგში მოიყვანოთ ბინის ცალკეული დეტალი. დავიწყოთ თუნდაც შესასვლელი კარით.

რა თქმა უნდა, სასურველია, შესასვლელი კარი მაგარი ჯიშის ხის, გამომშრალი მასალისგან იყოს. იმ შემთხვევაში, თუ მასალა მდარე ხარისხისაა და მისი შეცვლა მაგარი ჯიშის ხის კარით არ შეგვიძლია, კარი ჯერ ჩარჩოსთან უნდა გავასწოროთ, შემდეგ თხელი, სახიანი ფანერა (უმჯობესია მუხისა) დავაკრათ და უფერო ლაქით შევღებოთ. ასევე მოვიქცევით სხვა სადურგლო სამუშაოების შესრულების დროსაც.

შესასვლელი კარი, სხვა კარებთან შედარებით, უნდა იყოს ყრუ, სადა და ამავე დროს სითბოს, სიცივისა და ხმაურის გაუმტარი.

იატაკი ტალანში შეიძლება იყოს პარკეტის, დეკორატიული ლინოლეუმის ან ჩვეულებრივი ფიცრის. ამათგან უფრო პრაქტიკულია მხატვრული ლინოლეუმი, რომელიც ადვილად იწმინდება სველი ტილოთი.

ტალანის შესასვლელში, როგორც კარის გარეთ (კიბის ბაქანზე), ასევე კარის შიგნით, იატაკზე, სასურველია დავაფინოთ ხალიჩა. გარეთ უფრო პრაქტიკულია რეზინის, ხოლო შიგნით — პენოპლასტის ან სხვა რაიმე ნაჭრისა.

ტალანის კედლების შესალესად ხელმისაწვდომი და პრაქტიკულია გაჯი. ლამაზი იქნება, თუ ტალანის იმ კედელს, სადაც ტანსაცმლის საკიდია მოწყობილი, შევმოსავთ ხის მასალით ან ხის ფაქტურის მქონე სპეციალური შპალერით. დანარჩენი კედლები, სასურველია ღია ფერებში შეიღებოს როგორც განათების, ასევე მხატვრული ეფექტის შექმნის თვალსაზრისით (უმჯობესია, თუ წებოვანი გუაშის საღებავებს ვიხმართ).

რადგან ტალანში შუქი მხოლოდ სამზარეულოს ან რომელიმე სათავსოს შემინული კარით შემოდის, უნდა ვიზრუნოთ მის ხელოვნურ განათებაზე, ხოლო სარკესთან კი დამატებით მოვაწყოთ ბრა. მაღალჭერიან ტალანს ძალიან ეფექტურს გახდის შეკიდული ჭერი.

**არქიტექტორი ვლადიმერ დევრისაშვილი**

# ცოლი გამიდიდგულა

**იუმორესკა**

ტელეფონი დამიდგეს. რაღას ვიზამდი, ჩემმა უარმა და წინააღმდეგობამ არ გაჭრა, წამოჭიმეს მაგიდაზე თეთრი, პრიალა ყუთი. გულისხმიერი კაცი ვარ და ოჯახში მშვენიერი რაციონალიზატორული წინადადება დავნერგე: მეორე აპარატი ჩემს ცოლს სამზარეულოში დავუდგი, რადგანაც იქ უფრო ხშირად უხდება ტრიალი. არც ჩემს თორმეტი წლის გოგონას დავწყვიტე გული და მესამე ხაზი მის სამეცადინო მაგიდაზე გავჭიმე.

ჩემს ერთადერთ სიდედრს, რომლის რეზიდენციაც ლოჯიაშია, მეოთხე პარალელური ხაზი გავუყვანე.

ოთხი ტელეფონის ზარი ერთდროულად წკრიალებდა და ოჯახის წევრები ერთდროულად გავრბოდით ყურმილის ასაღებად.

მოგეხსენებათ, საზოგადოდ, ცოლები ეჭვიანები არიან და, ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ეს ღონისძიება საუცხოო საშუალებად ჩავთვალე, მაგრამ ნურას უკაცრავად!..

ზარი საამო ხმით წკრიალებს. ვიღებ ყურმილს და არხეინად ვსაუბრობ.

ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი ოჯახის წევრები მისმენენ — მე ხომ ვიცი, ისინი რა ზრდილი და თავდაჭერილი ხალხია...

ვამთავრებ ლაპარაკს. ჩემი გოგონა გაპრუნჩული სტოვებს სამეცადინო კუთხეს. სიდედრი ლოჯიიდან მიიფაფრება და თავის ქალიშვილს ჩემი საუბრის ჩანაწერს უწვდის, თითქოს უსამძიმრებს და ანუგეშებს...

რა ხდება ჩემს ირგვლივ? არ ვიცი, რა შეთქმულებას აწყობენ ჩემს ოჯახში? ვერ გამიგია.

გაგულისებული ცოლი ჭურჭელს ახმაურებს: რამდენიმე თეფში უკვე შეიწირა... და აი, მოთმინების ფიალაც აივსო.

— რა მოხდა, ჩემო ჯულიეტა? — ვეკითხები ცოლს. — რამ გაგადიდგულა, ქალო?

— ვის ესაუბრებოდი ახლა, არკადი? — მკვახედ და გაანჩხლებით მახლის კითხვას...

— თანამშრომელს, სამსახურებრივ საქმეზე. აბა, ტელეფონით სიყვარულს ხომ არ ამიხსნიდნენ?

— ისე შენ გაგისკდეს მაგ გული! არა მჯერა... გესმის? არა!

— როგორ თუ არა გჯერა? — ვიქუხე მეც, — ხომ გაქვს პარალელური ტელეფონი, ვერ მომისმინე?

— როგორ მომესმინა, სწორედ მაშინ მოუნდათ დარეკვა, მე რომ სარეცხში მქონდა ხელი!..

— ეს შემთხვევით მოხდა, შემთხვევით!..

— შვილო! — მიუბრუნდა ბავშვს, — ხომ იყო ქალის ხმა?

გოგონა თვალებით ეთანხმება...

— ხომ უთხრა — ჩემო ფისოვო? — ბავშვი სლუკუნებს...

— ფისო ქვია სახელად, ქალო, აბა აგრაფინას ხომ არ დავუძახებდი?.. — თავს ვიმართლებ, უმიზეზოდ დაბნეული.

ლელა და ნატალია რომანოვნა ირიბად მიყურებენ, თითქოს არც სჯერათ ჩემი გულწრფელობისა. თითქოს ველარც მცნობენ, მათ თვალში რატომღაც შევიცვალე, დავპატარავდი.

ოჯახი ორ ბანაკად გაიყო. აირ-დაირია, — ყველაფერი ყირამალა დატრიალდა.

— ეს რა უბედურებაა? სატელეფონო ყუთები ტყუილად შევიძინე? კედლები ტყუილად დავქსელე? რატომ არ მისმენთ? ჩემი ლაპარაკი რატომ არ გაინტერესებთ, რა გავს ეს? — ვყვირი განწირული ხმით. — ნუთუ ჩემი ოჯახის წევრებს მეტი კულტურა არ გაგაჩნიათ?

აქამდე თუ ჩემი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია, ახლა მთელი ხმით ვღრიალებ. ჩემი ხვითო ცოლი, აქამდე შაქარი რომ ამოსდიოდა პირიდან, წიწაკას აფრქვევს.

— რა დაგემართა, ჯულიეტა? — ვეკითხები ისევ მოთმინებით.

— შენ თვითონ რა დაგემართა, არკადი? — მიბრუნებს კითხვას.

— რატომ ჩხუბობთ, მამიკო? — შემომჩივის სწავლაში ჩამორჩენილი შვილი.

— რა მოხდა, ხალხო? — წუწუნებს სიდედრი.

არაფერი არ დაგვემართა, დამიჯერეთ, ადამიანებო, ისევ ის გულწრფელი არკადი ვარ აქამდე რომ ვიყავი. ისევ ისე მიყვარს სიდედრი, როგორც აქამდე მიყვარდა. მოდით, თქვენი ჭირიმეთ, გაიტანეთ ეს პრიალა ყუთები, მოხსენით ხაზები, დამიბრუნეთ მყუდროება. ჩემი შვილი ტელეფონის დარაჯად არ გამიზრდია, სიდედრმა ლამის დისერტაცია დაიცვას ჩემი ნასაუბრალის ჩანაწერებით. დაიღალა ხალხი. დავიღალე მეც, დამასვენეთ, ბატონო! უტელეფონოდ ცხოვრობდნენ ჩემი მამა-პაპანი. ას წელს ცხოვრობდნენ და მეტსაც. მეც მწყურია სიცოცხლე, მეც მინდა ასი წელი ვიცოცხლო, ჯერ არ მინდა სიკვდილი. მომიხსენით ტელეფონი, შემიბრალეთ, ადამიანებო!

**დოდო ზურაბიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყვავილები ოთახში, აივანზე, ეზოში

ოთახის ყვავილების მოვლა-გამრავლება არ მოითხოვს დიდ ცოდნას და მომქანცველ შრომას. პირიქით, ეს საქმიანობა სახალისო და სასიამოვნოა, ხოლო შრომა, რომელსაც მცენარეების მოვლა-პატრონობაზე ვხარჯავთ, ათგზის აგვინაზღაურდება.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ბინაში მცენარეების გაშენება ჯანმრთელობისათვისაც არის სასარგებლო, რადგან, როგორც ცნობილია, მცენარეები ჰაერს ასუფთავებენ. ზოგი ოთახის მცენარე კი გამოყოფს ატმოვიტამინებს, ადამიანისთვის მეტად სასარგებლო მქროლავ ორგანულ ნივთიერებებს და დადებითად მოქმედებს სასუნთქ ორგანოებზე, სისხლზე, ნერვულ სისტემაზე.

მაგრამ ოთახისა და აივნის მცენარეებს, ბუნების წიაღში გაზრდილი მცენარეებისაგან განსხვავებით, სხვაგვარი მოვლა სჭირდებათ, რადგან უფრო გაანებივრებული არიან. როგორ შევურჩიოთ ნიადაგი, განათება, როგორი სითბო და ტენი სჭირდება სხვადასხვა მცენარეებს? რომელი მცენარეები უფრო ეხამებიან ერთმანეთს? ამაზე „საქართველოს ქალის" რამდენიმე ნომერში მოგაწვდით რჩევა-დარიგებებს.

### საუბარი პირველი

კ ლ დ ი ს დ უ მ ა — მზიან, განათებულ ადგილს მოითხოვს აივანზე, ნიადაგს — ნაკლებ ტენიანს. ოთახის პირობებს ის ვერ ეგუება. კარგია მისი გაშენება ბაღნარშიც — გზის პირას ბორდიურებად, ან ყვავილოვანი არშიების მოსაწყობად. კლდისდუმას რგავენ ალპინარიებში, ყორეებსა და ქვის ხვრელებში. კლდისდუმა 25-35 სმ სიმაღლისა იზრდება და ზაფხულიდან მოყოლებული შემოდგომამდე ყვავილობს პირისფერი ქოლგისებური ყვავილებით. ის ადვილად მრავლდება ქვიშაში ფესვის დაყოფითა და კალმებით. მისი სამშობლო ჩინეთი და იაპონიაა. ჩვენშიც მრავლად მოიპოვება მისი სხვადასხვა სახეობა.

ჰ ე რ ბ ე რ ა — ბალახოვანი მრავალწლიანი მცენარეა. მეტად ლამაზად ყვავილობს გაზაფხულიდან შემოდგომამდე გვირილის ფორმის ვარდისფერი, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, თეთრი ყვავილებით. მოითხოვს აივანზე განათებულ ადგილს, ნარევ ნიადაგს (2 წილი ყამირი, 1 წილი ნეშომპალა, 1 წილი ძველი ნაკელი). მრავლდება როგორც თესლით, ისე ვეგეტატიურად — ბუჩქის დაყოფით. ჰერბერას სამშობლო სამხრეთი აფრიკაა.

ფ რ თ ა თ ე თ რ ა (კალა) — მოგრძო ყუნწიან ფოთლებს შორის გამოიტანს გრძელღეროიან, თეთრ მოზრდილ ყვავილებს. თუ აივანზე რგავთ, მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ მას ჩრდილოეთის მხარე ურჩევნია, ბაღნარში კი — ტენიანი, განათებული ადგილი. ეს მცენარე მოითხოვს ნოყიერ ნიადაგს (ყამირის, კომპოსტის, ტორფის, სილის ნარევს), მრავლდება ამონაყრებით. ყვავილობს გაზაფხულზე. მცენარე რომ არ დასუსტდეს, ამ დროს ამონაყრებს აცლიან. მისი სამშობლოა სამხრეთი აფრიკა.

კ ა ტ ა ბ ა რ დ ა — მრავალწლიანი ხვიარაა. ის ჩვენს ტყეებში იზრდება. თუ მათი გახარება აივანზე გვსურს, წინა გეჯაში კი არ უნდა ჩარგათ, არამედ კედლის ძირას, ცალკე მოზრდილ ქურქელში. ამ ბოლო ხანს მრავლად რგავენ ე. წ. ჟაკმანის კატაბარდას, ახალი ჯიშის მცენარეს. იგი ყირიმის ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში გამოიყვანეს სელექციონერებმა. მრავალნაირად შეფერილი (თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი, ლურჯი, იისფერი, მეწამული და სხვა). კატაბარდას ყვავილები სიგანით 10-15 სმ აღწევს. კატაბარდა კარგად ხარობს განათებულ, ქარისგან დაცულ ადგილას. მოითხოვს ნოყიერ, თიხნარ, კირნარ ნიადაგს. ჭარბ ტენს ვერ იტანს. მის ხვიარა ყლორტებს საყრდენებზე აკვრა სჭირდება. მრავლდება თესლით, ბუჩქის დაყოფით, კალმებით. თესლის მისაღებად საჭიროა ხელოვნური დამტვერიანება. კატაბარდა ბაღნარში დასარგავადაც კარგია.

დ ე დ ო ფ ლ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ი (ნ ა ს ტ უ რ ც ი ა) — ხვიარა, ძირს დახრილი მცენარეა და ლამაზად გადმოეფინება ხოლმე აივნის და ფანჯრის გარეთა რაფებს. ნაზი, სურნელოვანი, წითელი, ოქროსფერი და ნარინჯისფერი ყვავილებით უხვად არის დახუნძლული. ყვავის ივნისიდან ოქტომბრამდე. მას მზიანი გარემო უყვარს, ფხვიერი, ნოყიერი ნიადაგი, ხშირი რწყვა. ადვილად მრავლდება თესლით, მისი სამშობლოა მექსიკა, ეკვადორი, კოლუმბია.

ნ ა რ ც ი ს ი (ნარგიზი) — ბოლქვოვანი მცენარეა, ის ძალიან ამშვენებს ყვავილნარსაც და აივნებსაც. ჯიშების მიხედვით, ნარცისი ყვავილობს მარტიდან ივნისამდე. ყვავილები აქვს ყვითელი, მომწვანო, ღია ყვითელი ან ორფერი — თეთრი, წითელი და სხვა. აქვს უფოთლო ღერო, ადვილად მრავლდება ბოლქვებით. მის ბოლქვს ხახვის ფორმა აქვს. 3-5 წლის განმავლობაში შეიძლება ნარცისის ბოლქვი ერთ ადგილას დატოვოთ. შემდეგ, როცა მცენარეს ყვავილები დაუწვრილდება, გადარგეთ ხელახლა დამუშავებულ და შემზადებულ ნიადაგში 5 სმ სიღრმეზე.

**ირ. ხმალაძე,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

---

**გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე მხატვარ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ი ს ნამუშევარი — „ლეგენდის გაგრძელება..." ფოტო შ. ბ ა ბ ო ვ ი ს ა**

---

**რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი**

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**

**ტექრედაქტორი ი. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი**

**საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების — 99-50-39. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 22/XI1-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/1-73 წ. ქაღალდის ზომა 60X90¹/₈ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო საგამომცემლო. თაბახი 5,3.
ტირაჟი 125.600. შეკვ. 4143. უე 02026. **ფასი 80 კაპ.**

ჯერბერა





ფრთათეთრა (კალა)

კლდისძირა





ნარცისი (ნარგიზი)



კატაბარდა



დიდფურცლის ყვავილი (ნასტურცია)



ИНДЕКС 76178

6178/3
ეროვნული ბიბლიოთეკა